ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 3 ოქტომბერი, 2018 №234 (7779) ფასი: 60 თეთრი

გიორგი ჩივიაშვილი: „იმედია, მერაბიშვილს სრულად გამოიკვლევენ და, მინიმუმ, დიაგნოზს მაინც გვეტყვიან“

გვ.7

„სალომე ზურაბიშვილი თუ პრეზიდენტი გახდება, ივანიშვილს ევროპიდან დაუწყებს ბრძოლას“

გვ.3

გიგლა ბარამიძე: „ნიცშეს წაკითხვას, ბიძინას უჯობდა, უახლესი ისტორია წაეკითხა“



გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „ოცნების“ აქტივისტებს გაუჭირდებათ მხარდამჭერების დარწმუნება, რომ სალომე ზურაბიშვილს მისცენ ხმა“

პოლიტიკაში ხანდახან უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რა ჩანს, ვიდრე არის. ახლა ჩანს ის, რომ ოქუაშვილს „ოცნება“ აყაჩაღებდა. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ ასე ჩანს. ახლა ძალიან გაუჭირდება „ქართულ ოცნებას“, რომ ამომრჩეველი გადაარწმუნოს.
ეს არის ახლა ყველაზე მთავარი, დანარჩენი ყველაფერი ლირიკაა

„ვანო ჩხარტიშვილის ჩანაწერში 7 სხვადასხვა საუბარია გაერთიანებული და გაკეთებულია 6 მონტაჟი“

გვ.5

„ირაკლი ღარიბაშვილი მაშინ არ უნდა გადამდგარიყო“

გვ.4

ანზორ აბრალავა: „ქართულ პოლიტიკაში პატრიოტებს კარი ისევ დახშული აქვთ“

იაგო კაჭკაჭიშვილი: „ჩანაწერები ხელისუფლების რეიტინგზე უარყოფითად იმოქმედებს“

გვ.4

გვ.2

მამა გიორგი ზვიადაძე: „საპატრიარქო პოზიციას არ შეიცვლის, მარიხუანის კულტივაცია დაუშვებელია“

გვ.6

„ივანიშვილის სახელმა ბინძურ ფორმაში გაიჭედრა და მისი ღირსების საქმეა ყველაფერზე პასუხის გაცემა“

სამართალი გვ.7

თაკო სალაყაია: „ვანოს ნახვის უფლებას არ მაძლევენ... ადვილია, ვიზუალურად შეამჩნიო, რაც სჭირს მას“



გიგაური-ხაინდრავას საქმეზე ვანო მერაბიშვილსა და ბადრი ბიწაძეს გამოკითხავენ

ირაკლი ნადარეიშვილი ზაზა ოქუაშვილის განცხადებაზე: „უარყოფ ინფორმაციის მოძიებას ჩვენი დეპარტამენტის მიერ სხვა მიზნებით“

ISSN 1987-9385

5 „რუსულმა თვითმფრინავმა ქართული პოზიციები დაზვერა“

4 6 ყველაზე მაღალანაზღაურებადი თანამდებობის პირი საქართველოში

2 „ომეგა ჯგუფის“ თანამშრომლები ფინანსთა მინისტრთან შეხვედრას ითხოვენ

7 კაცს, რომელიც ცოლს დანვით ემუქრებოდა, 2 წლით პატიმრობა მიესაჯა

თორნიკე შარაშენიძე: „ოცნების“ აქტივისტებს გაუჭირდებათ მხარდამჭერების დარწმუნება, რომ სალომე ზურაბიშვილს მისცენ ხმა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ჯიპას პროფესორი **თორნიკე შარაშენიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო თორნიკე, წინასაარჩევნო პერიოდში ფარული ჩანაწერების გამოქვეყნება ჩვენი საზოგადოებისთვის, ამომრჩევლისთვის უცხო არ არის, მაგრამ რამდენად შესაძლებელია ამ ყველაფერმა შედეგებზე გავლენა მოახდინოს?

– რასაკვირველია, გავლენას იქონიებს, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც სალომე ზურაბიშვილს რეალური ამომრჩეველი არ ჰყავს. „ქართულ ოცნებას“ ძლიერი, პოპულარული კანდიდატი რომ ჰყოლოდა, მეტ-ნაკლებად ცნობილი სახე, რომელიც თუნდაც საკამათო განცხადებას არ გააკეთებდა, მაშინ ასეთი ძლიერი გავლენა არ იქნებოდა, მაგრამ ყველაფერი ერთად კომბინაციაში აუცილებლად მოახდენს გავლენას და „ოცნების“ კანდიდატს ძალიან დაასუსტებს.

– თუ პირიქით, სალომე ზურაბიშვილი, რომელიც არ არის „ოცნების“ წიაღიდან, შეიძლება ამ ფარული ჩანაწერების ფონზე უფრო მომგებიანი იყოს?

– არა, არანაირად და გეტყვით, რატომ. მას ოცდაოთხი საათი დაჰყვება კალაძე ან კობახიძე. კი გვეუბნებიან, რომ დამოუკიდებელია, მაგრამ გასაგებია, რომ არ არის და პირდაპირ ჩანს, რომ „ქართულ ოცნებას“ სურს სალომე ზურაბიშვილის გაყვანა, მაგრამ „ქართული ოცნების“ ტიპიურ ამომრჩეველს სალომე ზურაბიშვილისნაირი კანდიდატი არ მოსწონს, მეტიც, აღიზიანებს. დარწმუნებული ვარ, ეს „ოცნების“ აქტივისტებსაც აღიზიანებთ, რომლებმაც არჩევნების დროს უნდა იაქტიურონ, ვიღაც-ვიღაცები არჩევნებზე უნდა მიიყვანონ.

„ოცნების“ აქტივისტებს გაუჭირდებათ მათივე ამომრჩევლის დარწმუნება, რომ მათ სწორედ სალომე ზურაბიშვილს უნდა დაუჭირონ მხარი. ამ აქტივისტებს პირველ რიგში საკუთარი თავის დარწმუნება გაუჭირდებათ.

– რატომ?

– მისივე განცხადებების გამო. ის ადამიანებს ზევიდან უყურებს. ადამიანების მიმართ ზიზღს ვერ მალავს. ასეთი ადამიანი სიმპათიას არ იწვევს.

შესაბამისად, მე პლუსს ვერ ვხედავ იმაში, რომ ვითომ დამოუკიდებელი კანდიდატია. „ოცნების“ წიაღიდან რომ ყოფილიყო, მაშინ აქტივისტები კიდევ გაამართლებდნენ, ჩვენიანიაო.

– ყველა არჩევნებს თან ახლავს ეს ნეგატიური ფონი, ნეგატიური კამპანია. რატომ ვტრიალებთ ერთსა და იმავე წრეზე?

– ყველა წამყვან კანდიდატს მოჰყვება უარყოფითი, ნეგატივი. შესაბამისად, ყველას წამოაძახებენ და გაუხსენებენ ამ უარყოფითს. მაგალითად, „ოცნების“ კანდიდატი ყოველდღე ახალ-ახალ წამოსაძახებელს ამატებს ხოლმე. მისი მხარდამჭერი პარტიაც სასწაულებს სჩადის ამ ბოლო დროს. დაწყებული მარიხუანის თემით, ტაქსისტებისა და საცობებით დასრულებული. რომელი ერთი ჩამოვთვალო, მაგალითად, ქუთაისიდან პარლამენტის გადმოტანა, რაც მაინცდამაინც არჩევნებს დაამთხვიეს. ეს გადაწყვეტილება ალბათ ქუთაისელებს „ქართულ ოცნებაზე“ საბოლოოდ აუცრუებს გულს.

შეცდომების მთელი კასკადი მიუთითებს იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ შიგნიდან არის გახლეჩილი, რაც გარდაუვალი იყო მმართველობის იმ სტილიდან გამომდინარე, რომელიც მას აქვს.

– „ოცნების“ ლიდერები ამბობენ, რომ ნაციონალებისა და ომეგა ჯგუფის მიერ ორკესტრირებულ სპექტაკლთან გვაქვს საქმე და ბიზნესზე ზეწოლა არ ხდება. ამ ყველაფერს ისინი არჩევნებს უკავშირებენ და ამბობენ, რომ ნაციონალურ მოძრაობას სურს პროცესების აყირავება. თქვენ რას იტყვით?

– კი ბატონო, არჩევნებს უკავშირდებოდეს, მაგრამ ამით რა იცვლება?! მერე რა?! 2012 წელს, თავად არჩევნების წინა პერიოდში არ გამოაგდეს ციხის კადრები, ფარული ჩანაწერები?!

რა თქმა უნდა, არჩევნებს უკავშირდება. ნაციონალურ მოძრაობაში პოლიტიკური ცხოველები არიან. ასეთივე პოლიტიკური ცხოველები იყვნენ 2012 წელს „ქართულ ოცნებაში“, როდესაც მათ არჩევნების მოგება გადაწყვიტეს. ამაში უცნაური არაფერი არ არის. ოპოზიციას არჩევნების მოგების სურვილი რომ წამოაყვედრო, ეს დიდი სისულელეა.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად ნაკლებად

პოლიტიკაში ხანდახან უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რა ჩანს, ვიდრე არის. ახლა ჩანს ის, რომ ოქუაშვილს „ოცნება“ აყაჩაღებდა. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ ასე ჩანს. ახლა ძალიან გაუჭირდება „ქართულ ოცნებას“, რომ ამომრჩეველი გადაარწმუნოს. ეს არის ახლა ყველაზე მთავარი, დანარჩენი ყველაფერი ლირიკაა

ყოფითი, ნეგატივი. შესაბამისად, ყველას წამოაძახებენ და გაუხსენებენ ამ უარყოფითს. მაგალითად, „ოცნების“ კანდიდატი ყოველდღე ახალ-ახალ წამოსაძახებელს ამატებს ხოლმე. მისი მხარდამჭერი პარტიაც სასწაულებს სჩადის ამ ბოლო დროს. დაწყებული მარიხუანის თემით, ტაქსისტებისა და საცობებით დასრულებული. რომელი ერთი ჩამოვთვალო, მაგალითად, ქუთაისიდან პარლამენტის გადმოტანა, რაც მაინცდამაინც არჩევნებს დაამთხვიეს. ეს გადაწყვეტილება ალბათ ქუთაისელებს „ქართულ ოცნებაზე“ საბოლოოდ აუცრუებს გულს.

არის შუაში მთელ ამ ყველაფერში, ოქუაშვილის საქმეში „ქართული ოცნება“, ერთ რამეს ვიტყვი: პოლიტიკაში ხანდახან უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რა ჩანს, ვიდრე არის. ახლა ჩანს ის, რომ ოქუაშვილს „ოცნება“ აყაჩაღებდა. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ ასე ჩანს. ახლა ძალიან გაუჭირდება „ქართულ ოცნებას“, რომ ამომრჩეველი ამაში გადაარწმუნოს. ეს არის ახლა ყველაზე მთავარი, დანარჩენი ყველაფერი ლირიკაა.

– კიდევ უფრო დამძიმდება სურათი, რაც არჩევნები მოახლოვდება?

– მე ეჭვი მაქვს, რომ კიდევ იქნება რაღაც და ამით არ ამოიწურება. აშკარაა, რომ „ოცნების“ მხარეს აღარ არის მორალური უპირატესობა.

– რას გულისხმობთ?

– განვმარტავ. 2012 წელს, არჩევნების წინ გამოქვეყნებული ციხის სკანდალური კადრების საპასუხოდ, ნაციონალურმა მოძრაობამ გამოაქვეყნა ფარული ჩანაწერები, სადაც „ოცნების“ ლიდერები ერთმანეთს ლანძღავდნენ, მაგრამ ამან არანაირი გავლენა არ იქონია არჩევნებზე. მეტიც, არავინ ამას ყურადღება არ მიაქცია, რადგან ნაციონალურ მოძრაობას მაშინ ყველანაირი მორალური ავტორიტეტი დაკარგული ჰქონდა. ახლა კი, რაც უნდა გამოაქვეყნოს „ქართულმა ოცნებამ“, ეს მას ვერ უშველის.

ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი ამტკიცებდა, რომ ეს ფარული ჩანაწერები ფალსიფიცირებულია, მაგრამ მას ყურადღება არავინ მიაქცია. როგორც ჩანს, ადამიანებს „ოცნება“ ყელში აქვთ ამოსული. ვერ გეტყვით, რამდენად სიმართლეა ის, რასაც ზაზა ხატიაშვილი ამბობს, ეს გასარკვევია, მაგრამ სიმართლე რომც იყოს, ახლა ამ სიმართლის დაჯერება ადამიანებს გაუჭირდებათ, რადგან „ოცნებამ“ მორალური ავტორიტეტი დაკარგა და ეს არის აქ მთავარი.

ეს ნეგატივი დაგროვდა და ახლა ფეთქდება, რაც პოლიტიკაში ჩვეულებრივი კანონზომიერებაა. რამდენი ხანი შეიძლება ნეგატივი ამართლო?! ეს არის.

– მეორე ტური იქნება?

– აუცილებლად იქნება. თუ მეორე ტური არ იქნება და სალომე ზურაბიშვილს პირველივე ტურში გაიყვანენ, ამისთვის ძალიან დიდი გაყალბება დასჭირდებათ, რაც შეუმჩნეველი არ დარჩება. მერე უკვე ღმერთმა დაგვიფაროს, თუ რა შეიძლება ამას მოჰყვეს.

– რა შედეგებს მოიტანს?

– მძიმე შედეგებს. ეს ხელისუფლება ქვეყნის გარეთაც მხარდაჭერას დაკარგავს, რაც ქვეყნის პოზიციებზე აისახება. ქვეყნის შიგნით კი არალეგიტიმური მთავრობა გვეყოლება, რასაც აუცილებლად პროტესტი მოჰყვება. ვის ინტერესებშია ეს?! რასაკვირველია, ქვეყნის მტრის.

– თქვენ რას ფიქრობთ, მეორე ტურში ვინ გადის?

– ამ მონაცემებით, მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილი და გრიგოლ ვაშაძე გადიან.

მამა გიორგი ზვიადაძე: „საპატრიარქო პოზიციას არ შეიცვლის, მარიხუანის კულტივაცია დაუშვებელია“

შორენა მარსაგიშვილი

მარიხუანის თემაზე ხელისუფლებისა და საპატრიარქოს დაპირისპირება გრძელდება. ბოლო დღეების განმავლობაში საპატრიარქოს ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია. სამაგიეროდ, ხელისუფლებამ აიშვა და ერს იმას უმტკიცებენ, რომ სიღარიბეს კანაფის პლანტაციებით მიაქვესკნელებენ.

საპატრიარქოს დუმილი საზოგადოებამ თანხმობად აღიქვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთლად ასე არ ყოფილა საქმე. საპატრიარქომ ხელისუფლებას თავისი პოზიცია გუშინ კიდევ ერთხელ დაუფიქსირა.

გუშინ, 2 ოქტომბერს, საპატრიარქოში სასულიერო სემინარიის დაარსებიდან 30 წლის საიუბილეო ღონისძიება გაიმართა. ინტერპრესნიუსის ცნობით, აღნიშნულ ღონისძიებას პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, განათლების მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი და მთავრობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მაღალჩინოსნებს მედიასთან კომენტარი არ გაუკეთებიათ. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი საპატრიარქოს პოზიციით იყვნენ უკმაყოფილო.

პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის თქმით, ამ შეკრებაზე მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე და მათ შორის

მარიხუანის კულტივაციასა და ექსპორტზე არ უსაუბრიათ.

– არავითარი სხვა საკითხი არ ყოფილა განხილული. ეს დღე არის უმნიშვნელოვანესი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში და, ამავე დროს, მთელი ერის ცხოვრებაში იმიტომ, რომ დიდი წყვეტა იყო, გელათის აკადემიის შემდეგ უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლა საქართველოში არ არსებობდა. უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლის გარეშე შეუძლებელია ქართული საღვთისმეტყველო აზრის განვითარება. პატრიარქის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ მან შეძლო დაეფუძნებინა თბილისის სასულიერო აკადემია, როგორც მემკვიდრე გელათის უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლის. ასევე შეძლო, რომ დაეფუძნებინა სადისერტაციო საბჭო. ეს არის უპრეცედენტო მოვლენა საქართველოს ისტორიაში, – განაცხადა მამა გიორგი ზვიადაძემ.

ჟურნალისტების კითხვაზე, საიუბილეო ღონისძიებაზე მარიხუანის კულტივაციის თაობაზე იყო თუ არა საუბარი, პროტოპრესვიტერი პასუხობს, რომ ეს კითხვა დღევანდელ დღეს არ უკავშირდება.

მამა გიორგი ზვიადაძემ აღნიშნა, რომ მარიხუანის კულტივაცია დაუშვებელია და ეკლესია არავითარ შემთხვევაში არ შეიცვლის აზრს.

– საქართველოს ეკლესიის მოღვაწეობა არის ჩვენი ხალხისთვის მოღვაწეობა. სხვა მიზანი ეკლესიას არ აქვს. მინდა, ხაზგასმით ვთქვა, საქართველოს პატრიარქს, წმინდა სინოდს, სამღვდელოებას, მრევლს, ყველას ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება აქვს, რომ დაუშვებელია მარიხუანის კულტივაცია. საქართველოს ეკლესია თავის აზრს არ შეცვლის არავითარ შემთხვევაში. ეს დამოკიდებულება რჩება შეუცვლელ დამოკიდებულებად. მიგვაჩნია, რომ ეს იქნება ძალიან საზიანო ჩვენი ახალგაზრდობისთვის, ჩვენი ხალხისთვის.

ჩვენ, რა თქმა უნდა, პატივს ვცემთ ჩვენს სახელმწიფოს და ეკლესია დგას ქართული სახელმწიფოს გვერდით. ეკლესია არ საუბრობს ამას დაპირისპირებისა და ჩასაფრებული ადამიანის პოზიციიდან. საპატრიარქო ჩვენი ხალხისადმი, სახელმწიფოსადმი დიდი სიყვარულითა და ერთგულებით ამბობს, რომ დაუშვებელია მარიხუანის კულტივაცია და რომ ეს ზიანის მომტანი იქნება საქართველოსთვის, – განაცხადა პროტოპრესვიტერმა.

„ომეგა ჯგუფის“ თანამშრომლები ფინანსთა მინისტრთან შეხვედრას ითხოვენ

. „ომეგა ჯგუფის“ თანამშრომლებმა, რომლებმაც გუშინ, 2 ოქტომბერს, აქცია გამართეს, ორკაციანი ჯგუფი შექმნეს და ფინანსთა სამინისტროში მინისტრთან შესვლის ნებართვისთვის შევიდნენ.

თუმცა, როგორც ოჯთ-სა და ომეგა 2-ის დირექტორებს უწყებაში განუცხადეს, მინისტრი ადგილზე არ იმყოფება, რის გამოც საშვს ვერ მისცემდნენ.

აქციის მონაწილეები ფინანსთა მინისტრს მოუწოდებენ, გასცეს კომპანიაზე აქციზური მარკები და მიეცეთ მათ მუშაობის განახლების საშუალება. ამ მიზნით ისინი გუშინ უწყებასთან შეიკრიბნენ. მათ მხარდაჭერა გამოუცხადეს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა.

აქციაზე იმყოფება საპრეზიდენტო კანდიდატი გრიგოლ ვაშაძეც.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, წურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – წურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სალომე ზურაბიშვილი თუ პრეზიდენტი გახდება, ივანიშვილს ევროპიდან დაუწყებს ბრძოლას“

გიგლა ბარამიძე: „ნიცშეს წაკითხვას, ბიძინას უჯობდა, უახლესი ისტორია წაეკითხა“

შორენა მარსაგიშვილი

რას დაემსგავსა მმართველი გუნდი, რა საფრთხეში ჩაიგდო თავი ივანიშვილმა, რატომ მოიგებს საპრეზიდენტო არჩევნებს „ოცნება“, სად მოიყარეს თავი დენიკინის დროინდელმა პოლიტიკურმა მეძავებმა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი **გიგლა ბარამიძე** ესაუბრება.

– თქვენ ჯერ კიდევ გასულ წელს უწოდეთ მმართველ გუნდს „კარტელური ოცნება“ და ამბობდით, მათი წყალობით ქვეყანაში კორუფცია მომძლავრდაო. იცოდით, რომ ისეთი რამეები ხდებოდა, რაზეც ამ დღეებში ბიზნესმენმა ზაზა ოქუაშვილმა ისაუბრა?

– კორუფციაში რომ იყვნენ ჩართული, როგორ არ ვიცოდი, მაგრამ, თუ ასე აიღებდნენ თავზე ხელს, ნამდვილად არ მეგონა. ისინი რომ ასეთი თავზეხელაღებულები არიან, ეს პირველ რიგში საზოგადოების ბრალია – აბედვინებენ და ისინიც ბედავენ.

მმართველი პარტია აღარ არის „კარტელური ოცნება“. მათ ვეღარც კოზაანოსტრას და კამორას ვუწოდებდი. ესენი გადაიქცნენ ნდრანგეტად. ნდრანგეტა გახლავთ კრიმინალური დაჯგუფება, რომელსაც ყველგან აქვს თავისი საცეცები და პოლიტიკაშიც ერევა.

ამ ყველაფერს რომ ვუყურებ, უკვე ვხვდები, თუ რატომ არ იქნა გამოძიებული ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა, რომელიც თვითმკვლელობად მოინათლა. ეჭვები ჩნდება, რატომ დაიღუპა გულის შეტევით მილიარდერი ბადრი პატარკაციშვილი, რომელსაც სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე გული სრულიად ჯანმრთელი ჰქონდა. ბევრი კითხვა ჩნდება, თუ რატომ არ მიიყვანეს ბოლომდე ზურაბ ჟვანიას საქმე.

ძალიან ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დაგროვდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ სპეცგეგმა მომზადდა და ეს გეგმა, როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით ხორციელდება. ვიღაცებს ძალიან უნდათ, რომ საქართველო აღარ იყოს სახელმწიფო და ის გახდეს მხოლოდ ტერიტორია. ამას ქოცბანდა უწყობს ხელს.

პირველ ოქტომბერს მათი ყელყელაობის ექვსი წლისთავი იყო, მაგრამ მარტო ამ ექვს წელიწადზე ნუ ვილაპარაკებთ. ბიძინა ივანიშვილი ბევრად მეტი ხანია, რაც პოლიტიკაშია. ის მშვენივრად თანამშრომლობდა ნაციონალებთან.

– ამის თქმის გამო მართლმორწმუნე ქოცები ჩაგქოლავენ.

– ნაციონალებთან რომ თანამშრომლობდა, ამას თავად ივანიშვილი არ უარყოფს. გაგახსენებთ, რა ეპითეტებით ამკობდა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს. პირწავარდნილ მტარვალ ადეიშვილს უპატიოსნესი ადამიანი უწოდა, სისხლიან მერაბიშვილს კი კარგ მენეჯერად მოიხსენიებს. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ მასთან სახლში ხშირად მიდიოდა სტუმრად საკაშვილი.

მან ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ „ქართული ნდრანგეტას“ ყელყელაობის 6 წლისთავზე საკუთარ თავს საერთოდ ხარაკირი გაუკეთა, როდესაც სალომე ზურაბიშვილი თამარ დედოფალს შეადარა.

ამ ქალმა მთელი „ოცნება“ და უპირველეს ყოვლისა ბიძინა ივანიშვილი ისეთ პოლიტიკურ ორმოში ჩაითრია, საიდანაც ვერ ამოვლენ. თამარ დედოფლად გამოცხადების შემდეგ პირველი ტყუილი უკვე ათქმევინა ივანიშვილს, ვითომ რუსული ჯარები მან გაიყვანა.

ამ ტყუილს მოჰყვება კანაფის პლანტაციების გაშენება. ხელი თუ არ შევუშალეთ, ამას აუცილებლად გააკეთებენ.

– ხელის შეშლა ალბათ ძალიან ძნელი იქნება, პარლამენტის სპიკერმა გვითხრა, რომ კანაფის კულტივაციარეალიზაციის კანონი უკან არ იქნება გახმობილი.

– როგორ მინდა, რაღაცები ვთქვა ამ ახალგაზრდაზე. მამამისს მაინც არ ვიცნობდე, თორემ ამ კულულებიან ორფეოსზე ისეთ რამეებს ვიტყოდი, გარეთ თავს ვერ გამოყოფდა.

– ორფეოსს რატომ შეადარეთ?

– ერთ-ერთ გადაცემაში გიტარით ხელში გამოგვეცხადა. გიტარა კი არ უნდა ეჭიროს, საქმეს უნდა აკეთებდეს.

ისევ პირველ ოქტომბერს დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ ეს იყო პანაშვიდი. არ თქვან, გამარჯვებას აღვნიშნავდითო. ასეთი საპანაშვიდე სახეებით გამარჯვებას არავინ აღნიშნავს. იმასაც კი ვერ ხვდებიან, რომ მატყუარა მატრონა სალომე ზურაბიშვილს პოლიტიკურ საფლავში მიჰყვებიან.

სხვა მიმართულებით გზა ისედაც არ აქვთ, ხალხს იმდენი რამე მოატყუეს. სამართლიანობის აღდგენისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების პირობა დადეს და უარესი გააკეთეს.

დამნაშავეების დასჯის ნაცვლად მათთან კოაბიტირება ამჯობინეს. მოსახლეობას კორუფციის დამარცხებას დაჰპირდნენ და უფრო მეტ კორუფციაში ჩაფლეს ქვეყანა. თქვეს, ბიზნესის რეკეტი აღარ იქნებაო და პირველი ყაჩაღები თავად გახდნენ.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით დაგვპირდნენ ნაბიჯების გადადგმას და მათი მოსვლის შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა საქართველოს ტერიტორია. თქვეს, სახალხო ხელისუფლება ვიქნებით, ეროვნულ ტრადიციებს გავაღრმავებთო და რა გააკეთეს? მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ანტიდისკრიმინაციული კანონი და პლანის ლეგალიზაცია მიიღეს.

რეალობაში ესენი მართლა ქოცბანდა არიან და მათ სიმდიდრის მოხვეჭა აერთიანებთ. ამიტომ პოლიტიკურად მათი დანდობა არ შეიძლება.

წინა ინტერვიუში გითხარით, რომ ესენი საზოგადოების ყურადღებას მოადუნებენ და მერე ისევ დაიწყებენ კანაფის პლანტაციების გაშენებაზე მუშაობას. ასეც მოხდა, ხალხმა ორთქლი გამოუშვა, ესენი კი საქმეს შეუდგნენ.

– რას გულისხმობთ?

– პატრიარქმა ამ საკითხზე მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა. ეს რომ მოისმინეს, თავიდან გულები დაუსკდათ. მერე ემისრების გაგზავნა დაიწყეს საპატრიარქოში, შედეგმაც არ დააყოვნა. ერთმა მეუფემ თქვა, სალომეს კანაფის დედოფალი ხუმრობით ვუწოდეო. საპატრიარქო ნელ-ნელა არბილებს დამოკიდებულებას, მაგრამ „ოცნებას“ მაინც არ გაუვა.

თავად ივანიშვილი ისეთ მძიმე და ბინძურ თამაშში ჩაითრია სალომემ, იქიდან ვერ ამოვლენ. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მივმართო მილიარდერს: ჩემი სიტყვები დაიმახსოვრე, ბიძინა, მგელ ტოტიასავით გაიწირები. როგორც კი შენი მილიარდებით სალომე მატყუარა პრეზიდენტად დაინიშნება, ერთ კვირაში განგიდგება.

ამ ქალმა თუ დაინახა, რომ საზოგადოება ივანიშვილის წინააღმდეგ განეწყო, როგორც სააკაშვილს დაუპირისპირდა ჟანა დარკივით, ასევე გაუკეთებს „ოცნების“ ლიდერსაც.

ივანიშვილს მარგველაშვილიც განუდგა, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა – ეს ქალი ყველაფერს იკადრებს.

– რა შეიძლება იკადროს?

– წავა ევროპაში, პრეზიდენტის ფონდის წყალობით ფული არ გამოელევა, იქ ჩაჯდება და იქიდან დაუწყებს ბიძინას ბრძოლას. ბიძინა კი მისივე ძალისხმევითა და ფულებით დანიშნულ პრეზიდენტს თითსაც ვერ დააკარებს.

მივმართავ ისევ ბიძინას: ვერც კი ხვდები, სად შეტოპე, მაგრამ ერთმანეთს გადაჰკიდებიხართ, ეგ არ მაინტერესებს. მხოლოდ ქვეყნის გამო ვნერვიულობ, ქვეყნის, სადაც ჯერ კიდევ არიან დენიკინის დროინდელი პოლიტიკური მეძავის ფსიქიკის ადამიანები. ისინი იმაზე ფიქრობენ, სალომე პრეზიდენტი რომ გახდება, როგორ მოიწყონ ტკბილი ცხოვრება.

ბიძინა ივანიშვილი ხურჯინის პრინციპით მუშაობს – ერთ მხარეს ნაცმოძრაობა თავის ერთკაციანი პარტიებით ჩადო, მეორე მხარეს – „ოცნება“, გადაჰკიდა ეს ხურჯინი ვირზე და სიტუაციას ამ მეთოდით აბალანსებს. ასე დიდხანს არ გაგრძელდება – ან ერთი გადაიყოლებს, ან მეორე. ასპარეზზე კი ჯანსაღი ძალა გამოჩნდება.

– ჯანსაღი ძალა გამოჩნდება თუ ნაციონალები დაბრუნდებიან? ბევრი უკვე ღიად ამბობს, ქოცებს ისევ მიშა ჯობდაო.

– „ოცნების“ მამა-მარჩენალმა ერთადერთი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ ხალხს არჩევანის გაკეთების საშუალება არ დაუტოვა – როგორც თავად თქვა, შუა გაკრიფა. „ოცნების“ საპირწონედ ხალხს გრიგოლ ვაშაძეს აჩეჩებს. წარმოიდგინეთ ახლა, მმართველი პარტიის მთავარი კონკურენტი კანდიდატი არანაციონალი რომ იყოს. ხალხი იხუვლებდა და ნეიტრალურებიც მას მისცემდნენ ხმას. ნაციონალების მიმართ ისეთი ზიზღი აქვთ, რომ ვაშაძისთვის ხალხს ხმის მიცემა გაუჭირდება.

საზოგადოების ნაწილი ისეა გამწარებული, რომ შეიძლება ნაცებსაც კი მისცეს ხმა. ბოლო დღეებში გამოქვეყნებულმა ჩანაწერებმა სულ გადარია ხალხი. ეს არის პირდაპირ ბანდიტიზმი.

– „ოცნებასა“ და მის მხარდამჭერებს ამ ჩანაწერების არ სჯერათ.

– ახლა არ სჯერათ ჩანაწერების? ციხეში წამების კადრებითა და ჩანაწერებით არ მოვიდნენ თავად ხელისუფლებაში?! მივმართავ ამ უცხვირპიროებს, როცა გინდათ, ჩანაწერების დაჯეროთ, მაშინ ქალი ორსულად არის და, როცა არ გინდათ – ბერწია? რად უნდა ამ თემას ამდენი ტატყანი, ჩაატარეთ ჩანაწერების ავთენტურობაზე ექსპერტიზა. ძალიან მალე გაირკვევა, სიმართლეა თუ ტყუილი. ჩანაწერების ავთენტურობის დადგენის პროცედურას სულ რამდენიმე წუთი სჭირდება.

იმაზე კი არ წუხდებიან, ეს რა უბედურება ტრიალებს ქვეყანაში, იმაზე აქვთ პრეტენზიები, რატომ ჩაგვწერა იმ კაცმაო. საინტერესოა ისიც, თუ რა დროს გაკეთდა ეს ჩანაწერები. როცა ეს ამბები ხდებოდა, ივანიშვილი თანამდებობრივად აღარაფერი იყო, მას პარტიის ლიდერის პოსტიც კი არ ეკავა. სახლში იჯდა და გაიძახოდა, მე მარტო დრუიდულ ფილოსოფიას მივდევო.

კი მაგრამ, რა უნდოდა დღევანდელ შს მინისტრ გახარიას მის სახლში? ფილოსოფია მეც მაინტერესებს და ჩემთან რატომ არ იჯდა სახლში გახარია? გახარია და სხვებიც იმიტომ ისხდნენ ივანიშვილთან, რომ ყველაფერში ეს ადამიანია ჩართული. ამასთან დაკავშირებით კითხვა არავის გაუჩნდა.

ყველაფერი რომ უარყონ, თიბისი ბანკში გაფორმებულ ხელშეკრულებას რას უზამენ. ეს ბანკი ლონდონის ბირჟაზეა გასული და ამ ამბის გამო, შესაძლოა, შავ სიაში შეიყვანონ. როგორც კი სასამართლო გადაწყვეტილება დადგება, ჩათვალეთ, რომ ბანკს ბირჟიდან გამოაგდებენ.

მე ჰაერზე არ ვისვრი სიტყვებს. შემთხვევით არც კოზა ნოსტრა მიხსენებია, არც ნდრანგეტა და არც – კამორა. ეს სამი მაფიოზური კლანია ყველაზე მაგარი მსოფლიოში საბანკო საქმეებში ჩარევით.

ივანიშვილი ხშირად გვესაუბრება ნიცშეზე. მე არ ვიცი, რა წაუკითხეს ან რა წაიკითხა მის ნაშრომებში ასეთი, მაგრამ ნიცშეს არსად უწერია, პირწავარდნილი მატყუარა დაასახელე პრეზიდენტობის კანდიდატად. ამ ქალმა ისეთ ჭაობში ჩაითრია ივანიშვილი, რომ დაიღუპება.

– თქვენ რამდენჯერმე თქვით უკვე, რომ ივანიშვილი ზურაბიშვილმა ჭაობში ჩაითრია. ამბობთ, რომ ჰაერზე არ ლაპარაკობთ. რამე იცით ივანიშვილის მომავალზე?

– მე ის ვიცი, რა ელოდება ივანიშვილს მას შემდეგ, რაც სალომეს პრეზიდენტად გაიყვანს. ეს ქალი ძალიან მალე დაუწყებს მას ბრძოლას. გაითვალისწინეთ, ბრძოლას ევროპიდან დაუწყებს და, რადგანაც მას პრეზიდენტი ერქმევა, მის სიტყვას დიდი წონა ექნება. ივანიშვილმა კი ამ ბრძოლის შედეგად, შესაძლოა, თავისი ქონების დიდი ნაწილი დაკარგოს.

ლონდონის საფონდო ბირჟაზე გამართული ვაჭრობის დროსაც კარგავს ხოლმე ფულს, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც თამარ დედოფლად მონათლული სალომეს გაპრეზიდენტების შემდეგ დაკარგავს.

– სალომეს გაპრეზიდენტება რამდენჯერმე ახსენეთ და, დარწმუნებული ხართ, რომ ის გაიმარჯვებს?

– გამარჯვებით ვერ გაიმარჯვებს, მაგრამ ივანიშვილი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს ქალი გააძვრინოს. და ეგ ქალი იქნება, მას ქონებას რომ დააკარგვინებს. არ იქნებოდა ცუდი, ნიცშეს ნაცვლად ბიძინა საქართველოს უახლეს ისტორიას თუ წაიკითხავდა.

ივანიშვილის ქონება ნაკლებად მადარდებს, მაგრამ გაპრეზიდენტებული სალომე ისეთ სისულელეებს ჩაიდენს, ქვეყანას დაღუპავს. ისეთი მატყუარაა, შეიძლება, ისიც თქვას, ეიფელის კოშკი ჩემმა წინაპრებმა ააშენესო.

– ეგ როგორ უნდა დაიბრალოს?

– სადაც რუსული ჯარების გაყვანას იბრალებს, ამას რატომ ვერ დაიბრალებს. აშშ-ის პრეზიდენტი კლინტონი რუს კოლეგასთან ლამის ხელჩართულ ბრძოლაში ჩაერთო, რომ მოსკოვს საქართველოდან ჯარების გაყვანის შეთანხმებაზე ხელი მოეწერა და ეს ქალი თავად იბრალებს ამას.

პრეზიდენტი არ გამხდარა და უკვე ბრძოლა დაუწყო ეკლესიას, გამოვიდა და სასულიერო პირებს აზრის გამოხატვას უკრძალავს. მან საქართველოს ისტორია არ იცის, მაგრამ, მინდა გავახსენო მარაბდის ბრძოლა, რომელიც 1625 წელს გაიმართა და ამ ბრძოლაში სხვებთან ერთად გიორგი სააკაძეც მონაწილეობდა.

ამ ბრძოლაში ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა ძმა მაჩაბელი და შვიდი ძმა ჩოლოყაშვილი დაიღუპნენ. ამავე ბრძოლაში დაიღუპნენ რუსთაველი და ხატაშნელი ეპისკოპოსები. ისინი თავიანთ მრევლთან ერთად იბრძოდნენ. ის იყო ომი და მტრის წინააღმდეგ სანთლით ხელში ვერ დადგებოდნენ.

მინდა, ქალბატონ სალომეს გრიგოლ ხანძთელის ციტატაც გავახსენო, რომლითაც მან აშოტ კურაპალატს მიმართა – ჩვენთან არს სულიერი კეთილი, თქვენთან არს ხორციელი კეთილი და ასე შევაზავოთ ურთიერთს. ეს არის ერისა და ბერის ფორმულა, რასაც ეს მატრონა ვერასდროს გაიგებს.

მივმართავ საპატრიარქოს, არ დაუჯერონ ამ ქალს და არ მოადუნონ პოზიციები, კანაფის პლანტაციების გაშენებაზე არანაირი ფორმით არ უნდა იყოს თანხმობა.

– არის იმის ალბათობა, რომ საპატრიარქო დაითანხმონ?

– საპატრიარქომ, როგორც უკვე გითხარით, შეარბილა პოზიცია. ერთმა მეუფემ ივანიშვილის მიერ თამარ მეფედ მონათლულს კანაფის დედოფალი უწოდა, მაგრამ ახლა ამბობს, რომ იხუმრა და სიცრუის დედოფალს კანაფის დედოფალი ხუმრობით უწოდა.

– მოკლედ, ყველანი დედოფლად აღიარებთ სალომე ზურაბიშვილს, თქვენც, ბიძინაც და მეუფე იაკობიც.

– მეუფემ თავისი სიტყვები სალომეს დედოფლობაზე უკან წაიღო, მე ბოლომდე ვიტყვი, რომ ეგ ქალი სიცრუის პრინცესაა. ივანიშვილი კი თავის სიტყვებს ძალიან ინანებს.

2018, 3 ოქტომბერი, №234

„ირაკლი ღარიბაშვილი მაშინ არ უნდა გადამდგარიყო“

ანზორ აბრალავა: „ქართულ პოლიტიკაში პატრიოტებს კარი ისევ დახშული აქვთ“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ **ანზორ აბრალავას**.

– იმ სკანდალურ ჩანაწერებზე, რომელთა ავთენტურობა დადგენილი არ არის, კომენტარებს აკეთებენ ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლები. მათმა გამოხმაურებებმა და არასერიოზულმა განცხადებებმა საზოგადოება სახტად დატოვა.

– ამ ყველაფერში რომ ნაციონალური კვალი იკვეთება, ამაში დარწმუნებული ვარ. ამაზე „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა და თბილისის მერმა კახი კალაძემაც ისაუბრა. აღრეც ვამბობდი, რომ სააკაშვილს და მის ძალებს ერთიანი რევოლუციური ფრონტი აქვთ შექმნილი. კალაძეს ერთი რამეც უნდა ეთქვა – ნაცმოძრაობის კავშირი რუსეთთან. 2003 წლის „რევოლუციაც“ ხომ რუსეთის ჩარევით მოხდა.

სააკაშვილის დროს რუსეთი სრულად დაეპატრონა საქართველოს მთელ ეკონომიკას. ამერიკული კომპანია „თელასიც“ კი გააძევა! ამ პროცესის თვალი და ყური კახა ბენდუქიძე იყო. ეკონომიკისა და ტერიტორიების გადაცემა მიმდინარეობდა ანტირუსული ისტერიის ფონზე. დედაქალაქის გადატანაც მოსკოვს უნდოდა. ნაციონალებმა პარლამენტის ქუთაისში განთავსებით ამ მხრივ მოძრაობა დაიწყეს.

– საზოგადოება არც „ოცნებას“ და მის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს თვლის ანტირუსულ ძალებად.

– ნამდვილი რუსული ძალა ნაციონალური მოძრაობაა, რომელიც ხელს უწყობს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ არსებობას და დამკვიდრებას კავკასიაში. სალომე ზურაბიშვილი იმას კი არ უნდა ამბობდეს, რომ 2008 წელს ომი საქართველომ დაიწყო, მან ის უნდა თქვას, რომ ომი ერთობლივად, გარიგებით დაიწყეს რუსეთის და საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებებმა.

მე სხვა კანდიდატი მიმაჩნია პრორუსულად. ის რუსეთის საგარეო უწყებაშია ნამუშევარი. პაატა ბურჭულაძეს, როგორც ხელოვანს, დიდ პატივს ვცემ, მაგრამ სიმბოლურია, რომ გრიგოლ ვაშაძე, ანუ ნაცმოძრაობისა და მისი დამქაშების კანდიდატი დაასახელა პეტერბურგის ოპერისა და ბალეტის ხელმძღვანელმა პაატა ბურჭულაძემ.

„ქართულ ოცნებას“ თუ ნაცმოძრაობისთვის პასუხის გაცემა უნდა, დოკუმენტურად, სლაიდურად უნდა ამხილოს მისი რუსეთთან ალიანსი. უნდა გაახსენოს ხალხს, როგორ უწევდნენ მეგზურობას რუს ოკუპანტებს 2008 წელს სააკაშვილის გუბერნატორები. ამჟამად ნაცმოძრაობა რუსეთის ახალ დავალებას ასრულებს. იწყება რუსეთის შემოსვლის მეორე ეტაპი.

– პირველი ეტაპი როდის იყო?

– თუ ადრინდელ ისტორიას არ შევეხებით და უახლეს ისტორიაზე ვისაუბრებთ, პირველი ეტაპი მეოცე საუკუნის 90-იან წლებში იყო.

– ჩანაწერებზე კონკრეტულად რას იტყვით?

– გონივრული ეჭვი მაქვს, რომ ისინი ყალბია. ეს ფალსიფიკაცია სააკაშვილის დავალებაა. ამ ყველაფერში მან ჩაიყოლია ნიკა გვარამია. ნაცმოძრაობამ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ბევრჯერ სცადა ხალხის აბუნტება, მაგრამ არ გამოუვიდა. ახლა ჩანაწერები ჩართეს საქმეში. იმათში, ვინც ნაცმოძრაობაში დარჩა, ან სხვა სახელის მქონე პარტიაში გაერთიანდა, არც ინტელექტუალები არიან და არც პოლიტიკაში გარკვეულები. ეს ადამიანები ბრმად ასრულებენ სააკაშვილისა და მისი პატრონი რუსეთის მითითებებს. ნაცმოძრაობას უდიდესი დანაშაული მიუძღვის საქართველოსა და მისი ხალხის წინაშე. ამდენი დანაშაულის ჩამდენი პარტია უნდა აიკრძალოს.

– აკრძალვა კი არა, „ქართული ოცნება“ კარგად თანამშრომლობს ყოფილ მმართველ პარტიასთან, მის განაყოფებთან და ძალას არ ზოგავს მათ გასაძლიერებლად.

– სახელმწიფოში ზოგიერთ თანამდებობაზე მაინც უნდა იყვნენ თავგანწირული და გაბედული ადამიანები. სხვანაირად ქვეყანა ვერ განვითარდება. ადმირალ ნელსონის თავდადება რომ არა, კაცმა არ იცის, ექნებოდა თუ არა წინსვლა ბრიტანეთს. ამ ხელისუფლებას ვაჟკაცობა არ ეყო, რომ კანონი შეესრულებინა და დასასჯელი დაესაჯა.

– ხელისუფლება საზოგადოებას გამონათქვამებით აღიზიანებს. ირაკლი კობახიძე ირწმუნება, რომ სიღარიბე შემცირდა.

– სიღარიბე შემცირდება მაშინ, თუ ეკონომიკა და პოლიტიკა ერთმანეთთან ჰარმონიულ დამოკიდებულებაში იქნება. ეკონომიკა პოლიტიკის ბაზისია. მისი შემუშავება გლობალურად, ფუნდამენტურად უნდა მოხდეს და არა – ცალკეული პროექტებისა და ფქვილის დარიგების დონეზე. ის უნდა დაემყაროს პიროვნების თავისუფლებას. ადამიანი თავისუფლად უნდა მოქმედებდეს კონკურენტულ გარემოში. აუცილებელია სწრაფვა სოციალური სამართლიანობისაკენ. ხელი უნდა შეეწყოს ეკონომიკურად ქმედუნარიანი საზოგადოების განვითარებას.

– საქართველოში ამ კომპონენტიდან არც ერთი არ შეინიშნება.

– სამწუხაროდ, ყველა ხელისუფლებას არ გააჩნია კვალიფიკაცია ამის გასააზრებლად. ჩვენთან კადრების დეფიციტია. საკადრო შიმშილი უკვე 30 წელიწადია, გვაწუხებს.

– ბოლო დროს ხალხში იმის განცდაც არ არსებობს, რომ სახელმწიფო გვაქვს.

– სახელმწიფოს, მისი ინსტიტუტების სიმყარის განცდა უნდა გააჩინოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ. შეიძლება პირი მაღალ იერარქიაში კომპეტენტურიც იყოს, მაგრამ მას არ ჰქონდეს გაბედულება და სიმტკიცე. ამის გარეშე სახელმწიფოს შეგრძნება არ გაჩნდება. მაღალჩინოსანი უნდა ცდილობდეს, იყოს პრინციპული და ზედმიწევნით შეასრულოს კანონი. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ირაკლი ღარიბაშვილის შემთხვევა. ის მაშინ არ უნდა გადამდგარიყო.

– რას გულისხმობთ?

– ირაკლი ღარიბაშვილს ჯერ ნაციონალური მოძრაობა უნდა აელაგმა კანონის საფუძველზე და მერე შეეძლო, წასულიყო პრემიერის თანამდებობიდან. მას ნაცმოძრაობის მიმართ სწორი პოზიცია ეკავა, მაგრამ ეს გადაწყვეტილებებზე ვერ აისახა. მაშინ ეს დროულიც იქნებოდა.

– ჩვენთან პრემიერები დამოუკიდებლები არ არიან.

– სწორედ იმიტომ ვსაუბრობ სიმტკიცეზე, გაბედულებასა და თავდადებაზე. თუ ადამიანი გაბედავს სწორი, პრინციპული გადაწყვეტილების მიღებას, ის დამოუკიდებელიც ხდება და ისტორიაშიც შედის.

კიდევ ერთ საკითხს შევეხები. ბედის ირონიით, ყველაფერი შებრუნდა და ზვიად გამსახურდიას ხსოვნას უკვე სწორად უდგებიან. დღეს პრეზიდენტობის კანდიდატებს ეკითხებიან, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ პირველ პრეზიდენტთან. ამ საკითხზე კანდიდატები თავს იმართლებენ.

ზვიად გამსახურდიას მიმართ ადრე არსებული უსამართლობა ნაწილობრივ დაიძლია. არ ეშველა იმას, რომ პატრიოტები ისევ განდევნილი არიან პოლიტიკიდან. ტელემედია მათ სათოფეზე არ იკარებს. მადლობა ბეჭდურ მედიას, პირველ რიგში, „ახალ თაობას“, რომელიც მათაც აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას.

იაგო კაჭკაჭიშვილი: „ჩანაწერები ხელისუფლების რეიტინგზე უარყოფითად იმოქმედებს“

იაგო ნაცვლიშვილი

ომეგა ჯგუფის მეპატრონე ზაზა ოქუაშვილი ხელისუფლებას ბიზნესზე ზეწოლაში ადანაშაულებს. 1 ოქტომბერს საზოგადოების წინაშე კვლავ გამოჩნდა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც მისი და ზაზა ოქუაშვილის შეხვედრასთან დაკავშირებით განაცხადა:

– ზაზა ოქუაშვილმა გვაჩვენოს ის ჩანაწერები, რომლებზეც წუხანდელ გადაცემაში საუბრობდა. მედია და ბიზნესს ზეწოლაზე საუბარი ღიმილის მომგვრელია. აღბათ წუხანდელი გადაცემაც ნახეთ, რას ცდილობდა და სად წავიდა ეს კაცი.

მართლაც შევხვდი მას ერთხელ და მართლაც დავეხმარეთ, ისევე, როგორც ვეხმარებით ყველა ბიზნესს. მე ეს ვალდებულება დღესაც გამაჩნია. ნებისმიერ ბიზნესმენს, რომელიც მოდის ჩემამდე, პრემიერამდე, ხელისუფლების რომელიმე ნაწილთან, აქვს იგივე განცდა, რომ ჩვენ მაქსიმალურად დავეხმაროთ ბიზნესს და ხელი შევუწყოთ. მაგრამ სხვა დანარჩენი ღიმილის მომგვრელია მხოლოდ.

ჩანაწერების ოსტატი ყოფილა ეს კაცი. ყველას და ყველაფერს იწერდა. რატომღაც ეს ჩანაწერი არ აქვს. ყველას იწერდნენ და გამოიტანოს ეს ჩანაწერებიც, გვაჩვენოს ამ საუბრისა და შეხვედრის შესახებ.

აქვს თუ არა გავლენა აღნიშნულ ჩანაწერებს და შეძლებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი „ოცნების“ ჩიხიდან კიდევ ერთხელ გამოყვანას? – ამ საკითხზე „ახალი თაობა“ სოციოლოგ **იაგო კაჭკაჭიშვილს** ესაუბრა:

– ბატონო იაგო, როგორ შეაფასებთ იმ ვითარებას, რომელიც ბოლო პერიოდში „ქართული ოცნების“ გარშემო ომეგა ჯგუფთან დაკავშირებით ხდება? არჩევნებზე ეს გავლენას იქონიებს?

– რა თქმა უნდა, იქონიებს.

– რა მიმართულებით?

– ამ ჩანაწერებს არჩევნებზე გავლენა ნეგატიური მიმართულებით ექნება, „ქართული ოცნების“ მიმართ ნეგატიური გავლენა ექნება, იმიტომ, რომ ხელისუფლება ამით კარგავს კაპიტალს, ანუ ნდობას მოსახლეობაში.

ეს ჩანაწერები და ამ ჩანაწერებზე თანდართული რაღაც დოკუმენტები, სულ მცირე, იმაზე მაინც მეტყველებს, რომ მარტივად არ არის საქმე, ანუ რაღაც გადაცდომები ან თუნდაც დანაშაულები ნამდვილად ხდება. ამიტომ ეს აისახება ამომრჩევლის განწყობებზე.

– გარკვეული პერიოდია, ბიძინა ივანიშვილი აღარ გამოჩენილა საზოგადოების წინაშე. ამას უკავშირდება მისი გამოჩენა?

– ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, ცადა, ცოტა ირონიულად ესაუბრა ამ თემაზე და პრობლემებზე, გაექარწყლებინა ის ბრალდებები და პრობლემები, რომლებიც „ქართული ოცნების“ მისამართით არის, მაგრამ ეს აშკარად არასაკმარისია.

ბიძინა ივანიშვილს თუ ნამდვილად უნდა „ქართული ოცნებისა“ და თავისი რეპუტაციის შენარჩუნება, მას ნამდვილად მოუწევს უფრო საფუძვლიანი განმარტებების გაკეთება იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომლებიც მედიაში ისმის და ამ ბრალდებების დამადასტურებელ დოკუმენტებთან დაკავშირებით, რომლებსაც სხვადასხვა მედია აქვეყნებს.

თუ აღმოჩნდა, რომ ამ პროცესში „ქართული ოცნების“ მთავრობა ფორმალურია და ჩრდილში მყოფი პირები დამნაშავენი არიან, მან უნდა იმოქმედოს შესაბამისად.

– საგამოძიებო მოქმედებების მიმართულებით გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა. ქვეყანაში სხვა ლეგიტიმური ორგანო არ არის არაფერი. დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გამოიძიონ ასეთი საკითხები.

– ბიძინა ივანიშვილის იმ განცხადებაზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, სადაც მან სალომე ზურაბიშვილზე ისაუბრა? ამ კონტექსტში თქვა, რომ 2008 წელს სააკაშვილი შემოუძღვა რუსეთის ჯარს, პირდაპირ ასეთი ფრაზა თქვა.

– ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, სალომე ზურაბიშვილის გვერდით დადგეს, ასე ვთქვათ, სალომე ზურაბიშვილთან უნისონში იყოს და მასთან შეთანხმებული განცხადებები აკეთოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ორი ძალის კავშირი – ბიძინა ივანიშვილისა და სალომე ზურაბიშვილის – აღოგიკური იქნება. ეს ამ კავშირის დადასტურებაა. ეჭვი მეპარება, რომ ეს განცხადებები და სალომე ზურაბიშვილის წისქვილზე წყლის დასხმა და მისი განცხადებების გამართლება ბიძინა ივანიშვილის მხრიდან საზოგადოებაზე დადებითად მოქმედებდეს.

– ფიქრობთ, რომ მმართველი ძალის ან მისი მხარდაჭერილი კანდიდატისთვის რეიტინგის თვალსაზრისით ხელის შემშლელი ფაქტორია?

– ყოველ შემთხვევაში, რეიტინგის ზრდას ხელს არ შეუწყობს. მომგებიანი სვლა არ არის რეიტინგის ზრდის თვალსაზრისით.

– ანუ სხვა რაღაცის მოფიქრება დასჭირდება ბიძინა ივანიშვილს?

– არ ვიცი, რისი მოფიქრება დასჭირდება. ეს მე არ მითქვამს. ყოველ შემთხვევაში, მან უნდა გააქარწყლოს ის ბრალდებები, რომლებიც „ქართული ოცნების“ აქტიური მოქმედი თუ ყოფილი მაღალჩინოსნების მისამართით გაისმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მმართველი გუნდის რეიტინგს არ უწყობს ხელს.

6 ყველაზე მაღალანაზღაურებადი თანამდებობის პირი საქართველოში

თანამდებობის პირთა ხელფასების, დანამატებისა და პრემიების საკითხი მუდმივად განხილვის საგანია.

აღსანიშნავია, რომ სწორედ მაღალი თანამდებობის პირთა შემოსავლების შესახებ გამოაქვეყნა მონაცემები „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ შექმნილმა ღია მონაცემების პლატფორმა –DataLab-მა.

კერძოდ, ვებგვერდზე გამოქვეყნებულია თანამდებობის პირთა 2017 წლის დეკლარირებული შემოსავლები. „ბიზნესპრესნიუსი“ ამ მონაცემებზე დაყრდნობით გთავაზობთ 6 ყველაზე მაღალანაზღაურებად თანამდებობის პირს საქართველოში, რომელთა წლიური შემოსავალიც 200 ათას ლარს აღემატება.

DataLab-ზე გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, ყველაზე მაღალანაზღაურებადი თანამდებობის პირი საქართველოში სულხან ზუმბურიძეა. მისმა შემოსავალმა გასულ წელს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე 341.700 ლარი შეადგინა. ცნობისთვის, ზუმბურიძე აღნიშნულ თანამდებობაზე 2007 წლის დეკემბერში დაინიშნა.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე) ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორია. კომპანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფლობს და ექსპლუატაციას უწევს 3.350 კმ. სიგრძის ელექტროგადამცემ ხაზს და 90 ქვესადგურს. სსე, ასევე, მართავს მეზობელ სახელმწიფოებთან დამაკავშირებელ ყველა ელექტროგადამცემ ხაზს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სსე-ს აქციების სრულ პაკეტს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი „საპარტნიორო ფონდი“ ფლობს.

შემოსავლების კუთხით მე-2 ადგილს იკავებს საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი

გაგრძელება მე-6 გვერდზე

„ვანო ჩხარტიშვილის ჩანაწერში 7 სხვადასხვა საუბარია გაერთიანებული და გაკეთებულია 6 მონტაჟი“

ზაზა ხატიაშვილი: „არა მგონია, სუს-ს გაუჭირდეს იმის დადგენა, თუ სად დამონტაჟდა ეს მასალა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ადვოკატი **ზაზა ხატიაშვილი** პასუხობს.

– ბატონო ზაზა, თქვენ ვანო ჩხარტიშვილის ინტერესებს იცავთ, ხელთ გაქვთ ლონდონში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის პასუხი, რომლის საფუძველზეც ამბობთ, რომ ვანო ჩხარტიშვილის ჩანაწერები დამონტაჟებულია. რას უპასუხებთ ბრალდებას, ზაზა ხატიაშვილი „ოცნების“ მხარეს გადავიდაო?

– ამ ქვეყანაში ასეთი უტვინო ადამიანები რომ არიან, ადვოკატს თავისი საქმის გამო ცილს სწამებენ, ამიტომაა საქმე კარგად. სააკაშვილის მომხრე რომ დამეცვა, სააკაშვილის მხარეს გადავიდოდი? გოგა ონიანს რომ ვიცავდი, მაშინ ნაცობა მომაწერეს.

გაეროს კონვენციაშია ჩაწერილი, რომ არ შეიძლება ადვოკატის კლიენტთან იდენტიფიცირება. მე ვიცავ კლიენტს და რაში მაინტერესებს, ის ლეიბორისტია, ნაციონალი თუ სხვა პარტიის წარმომადგენელი. მე არ ვარ პოლიტიკოსი და საერთოდ არ მაინტერესებს პოლიტიკა.

– რა ხდება ამ კონკრეტულ საქმეზე?

– ვანო ჩხარტიშვილთან დიდი ხანია, მეგობრული ურთიერთობა მაქვს. დამიკავშირდა ეს ადამიანი და მითხრა, ზაზა, ასეთი რამე არ მომხდარა, მაბრალებენ და რა ვქნა, მირჩიე, დაიცავი ჩემი ინტერესები. მე შევთავაზე, რომ ლონდონში გავაგზავნიდი ყველაზე ცნობილ ექსპერტიზის ბიუროში ამ ჩანაწერს და თუ შენ ამ ექსპერტიზას ჩამიტარებ, მე დაგიცავ-მეთქი. ისიც დამთანხმდა.

– და ექსპერტიზა ლონდონში დანიშნეთ?

– ყველაზე ცნობილი ექსპერტი არის ლონდონში, რომელსაც ჩატარებული აქვს 400 ექსპერტიზა, აუდიოექსპერტია. მეორე ცენტრი, სადაც ექსპერტიზა დავნიშნე, შედის მსოფლიოს ოთხეულში. მთელ მსოფლიოში პირველი სასამართლო არის ინგლისში და მეორე უფრო ფართო ექსპერტიზა დავნიშნე ისეთ ექსპერტიზის ცენტრში, სადაც პრეზიდენტებიც კი ცახცახებენ მათი დასკვნის წინაშე.

– ლონდონში ჩატარებული ექსპერტიზა უფრო დამაჯერებელი იქნებოდა?

– ეს ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ჩემი კლიენტი გამემართლებინა და მეჩვენებინა საზოგადოებისთვის, რომ არ შეიძლება, ადამიანს პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შეულახო დამონტაჟებული მასალით და ის გაასაღო, როგორც ერთი ჩანაწერი. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ვისი მეგობარია და ვინ რომელი პარტიის წევრია.

ბევრ ქვეყანაში დასჯადია ის, რაც რუსთავი 2-მა და იბერიამ იკადრეს. მასალის გაშვებამდე მინიმუმ ორჯერ უნდა შეამოწმო ჩანაწერი და წყარო. ისე მასალის გაშვება არ შეიძლება. ძალიან ბევრ ცნობილი ექსპერტს ვიცნობ და ეს ჩემთვის ძალიან მარტივი რამაა. ჩემი ოთახიდან დავნიშნე ექსპერტიზა.

– რა თქვა ექსპერტიზამ?

– თვითონ ექსპერტიზის დასკვნა ჩემთვის აღმოჩნდა შოკისმომგვრელი. არ მეგონა, თუ ამაზე შეიძლება წასულიყო ტელესივრცე. 2-წუთიან და 6-წამიან მონაკვეთში არის 7 სხვადასხვა საუბარი გაერთიანებული, გაკეთებულია 6 მონტაჟი და ეს გასაღებულია, როგორც ერთი საუბარი.

ეს შეიძლება, ადამიანმა იკადრო?! რატომ კადრულობენ ამას? და მერე კიდევ მე მლანძღავენ, როგორ გავბედე და დავადგინე, რომ ჩემი კლიენტი მართალია და იბერიამ და რუსთავი 2-მა გაავრცელეს ცილისმწამებლური და დამონტაჟებული მასალა.

– რა გითხრათ ვანო ჩხარტი შვილმა, როგორ იყო სინამდვილეში? არ შეხვედრიან ერთმანეთს?

– შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ რა მერე? ამას არ უარყოფს და ადასტურებს. რაც მე ინტერვიუები მაქვს მიცემული, ესენი რომ დაჭრან, დაამონტაჟონ, მე რომ ინტერვიუ მივეცი, იმას ვერ უარვყოფ, მაგრამ ეს ყველაფერი რომ შეცვლილი და დამონტაჟებულია, ამის დადასტურება შესაძლებელია. 7 საუბარი აიღეს, გააკეთეს 1 მონტაჟი და გაასაღეს, როგორც 1 შეხვედრა.

– მეორე მხარე არ იზიარებს თქვენს პოზიციას.

– მოუწევთ. მეორე დასკვნაც მალე მოვა. არსებობს ქარტია. მე მივმართავ ქარტიას, გამოითხოვონ და იმსჯელონ ამ ტელეკომპანიების მიერ დამონტაჟებულ მასალაზე. თუ ეგენი არ მოიხდიან ბოდიშს ვანო ჩხარტიშვილის წინაშე და არ იტყვიან, რომ ეს იყო დამონტაჟებული მასალა...

– მაშინ რას აპირებთ?

– ჩვენ, უბრალოდ, შანსი მივეცით. იცით, როგორ პატივს ვცემ გამოხატვის თავისუფლებას, ყველას გვერდით ვიდექი, ვისაც კი ეს საფრთხე ემუქრებოდა ქვეყანაში, მაგრამ, თუ ასეთი რაღაც შეიძლებოდა, რომ 2-წუთიან მასალაში 6 მონტაჟი ყოფილიყო და 1 შეხვედრად ყოფილიყო გასაღებული, არ ვიცოდი.

– მონტაჟი შესაძლებელია და ზოგჯერ აუცილებელიც იმისთვის, რომ მასალა კარგი გამოვიდეს.

– კი ბატონო, მონტაჟი შესაძლებელია. მე მოგცემ ნახევარსაათიან ინტერვიუს და შენ 6-წუთიანი გააკეთე. ეს არის მონტაჟი, მაგრამ რამდენიმე ჩანაწერის გაერთიანება და შემდეგ 1 ფარულ ჩანაწერად გასაღება დანაშაულია. გერმანიაში ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და 2 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– სხვა ბევრი ბრალდება ისმის ვანო ჩხარტი შვილთან დაკავშირებით: წილები სიგარეტის ბიზნესში, დამალული გადასახადები, ინტერესები ომეგა ჯგუფთან. ამაზე რას იტყვით?

– მე ვიცავ ჩხარტიშვილს 1 კონკრეტულ საქმეზე და დავადასტურე, რომ ეს კაცი არის მართალი. სხვა საქმე არ ვიცი და, აქედან გამომდინარე, ვერ გიპასუხებთ იმიტომ, რომ თუ იმ საქმეზეც მე ამიყვანა, ყველაზე ცნობილ და სანდო ექსპერტიზის ბიუროში ჩავატარებ ექსპერტიზას და, თუ დადგინდა, რომ ვანო მართალია, ვიტყვი მართალია, თუ დადგინდა, რომ მტყუანია, ვიტყვი, რომ ამ საქმეში ვანო მტყუანია.

ამ კონკრეტულ საქმეში ვანო არის მართალი. საპატრიარქოში ყოფილა და იქიდანაც კი აქვთ ჩანაწერი წამოღებული. გავგიჟდი, ეს რომ მოვისმინეო. სადაც კი ვანო გამოსულა და რამე უთქვამს, ყველაფერი შეკრიბეს. ეს სამარცხვინო ფაქტია, სამარცხვინო!

– რა გამოდის, რაც ადრე იყო, დღესაც იგივე გრძელდება? ეს მიყურადება, ფარული ჩანაწერები, შანტაჟი კვლავ აქტუალურია?

– ჩვენ რომ ხელისუფლება გვყავდეს და ფეოდალის ხელისუფლება არ იყოს, ეს რომ ნორმალური სახელმწიფო იყოს, სამართალდამცავმა სტრუქტურებმა უნდა გაარკვიონ, ვინ დაამონტაჟა. თუ თვითონ ასეთი უტვინოები არიან და არაფერი იციან, მიმართონ ფედერალურ ბიუროს და ისინი დაადგენენ, სად დამონტაჟდა. 21-ე საუკუნეში ეს ვერ დაუდგენიათ?!

ამას რომ დაადგენენ, ფარდა აეხდება მთელ კასკადს და ამას ვეღარავინ გაბედავს. ხვალ შესაძლოა სხვა ტელევიზიებს მოუნდეთ იმავე სიბინძურის გაკეთება.

– რას მოითხოვთ?

– ამაზე აუცილებლად უნდა დადგეს შედეგი. ადამიანები უნდა დაისაჯონ. მე და ჩემი კლიენტი მივმართავთ პროკურატურას, რომ ეს არის მონტაჟი და დაადგინოს, ვინ არის ამაში დამნაშავე!

იციან, რომ მე ხელთ მაქვს კანონიერი დასკვნა, ცნობილი ექსპერტიზის ბიუროდან აღებული, სადაც გაყალბება დაუშვებელია და ახლა გამწარებულებმა მე დამიწყეს ლანძღვა, თურმე როგორ გავბედე და როგორ დავადგინე სიმართლე.

ჩვენს სახელმწიფოს სძინავს ამ დროს. მე, ადვოკატი, რატომ უნდა ვასწრებდე სახელმწიფოს ექსპერტიზის ჩატარებას?! ნებისმიერი გამოცდილი აიტი-მენეჯერი ეტყოდა, რომ ეს არის მონტაჟი.

საქართველოს ხელისუფლებას თუ ელემენტარულად აქვს ღირსება, ვალდებულია დაადგინოს, ვინ დაამონტაჟა და ვინ ჩაწერა. ზაზა ოქუაშვილი ხომ აპირებდა ჩამოსვლას. ამ ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ ის თბილისში აღარ ჩამოვა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ გაიშიფრა უკვე! პირიქით, მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. არა მგონია, სუს-ს გაუჭირდეს იმის დადგენა, თუ სად დამონტაჟდა ეს მასალა. ტექნიკურად იოლი დასადგენია და ეს აუცილებლად უნდა გააკეთონ.

„რუსულმა თვითმფრინავმა ქართული პოზიციები დაზვერა“

გურამ ვახტანგაშვილი: „რუსებმა ოსებს უთხრეს, ერგნეთის ბაზრობის გახსნას უნდა შეეგუოთო“

გულიკო ბალაძე

რატომ გაიტაცეს ოკუპანტებმა ხურვალეთიდან 37 წლის ქალბატონი? რა ინფორმაციები ვრცელდება ცხინვალში? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ პარლამენტის ყოფილი წევრი **გურამ ვახტანგაშვილი** ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, ცხინვალის რეგიონში საოკუპაციო ზოლთან ახლოს მდებარე სოფლიდან რუსებმა და ოსებმა 37 წლის ქალბატონი მაია ოთინაშვილი გაიტაცეს. არ ვიცოდი, ოკუპანტები ქალებსაც თუ იტაცებდნენ. ეს რაღაც ახალი „პოლიტიკაა“?

– ახალია, აქამდე არ გამიგია, ქალი გაეტაცებინოთ, მით უმეტეს, რომ ჩვენი კონტროლირებადი ტერიტორიიდან გაიტაცეს. მავთულხლართებიდან გადმოვიდნენ და გაიტაცეს. არ გამიგია, საოკუპაციო რეჟიმს ქალი ჰყოლოდა გატაცებული.

90-იან წლებში ქალები და ბავშვები ჰყავდათ ხოლმე გატაცებული, მაგრამ ბოლო დროს, 2008 წლის შემდეგ, ასეთი რაღაც არ ხდებოდა.

– როგორ ფიქრობთ, რაში დასჭირდათ ოკუპანტებს ახლა ქალის გატაცება? თანაც, როგორც ირკვევა, გატაცებული რაღაცნაირად მავთულხლართებიდან გადაიყვანეს.

– ვერ გეტყვით, ქალბატონის გატაცება რაში დასჭირდათ. შეიძლება, მაგ ოჯახთან რაღაც პრობლემა ჰქონდათ. აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, ქალი გაეტაცებინოთ.

– ოჯახთან რა პრობლემა შეიძლება ჰქონოდათ?

– ისინი 60-70 წლის ადამიანებს ედავებიან, ვისაც ომის დროს იარაღის ჭერა და იმ ბრძოლებში მონაწილეობა შეეძლოთ, მაგრამ 37 წლის ქალს რა მონაწილეობა უნდა ჰქონოდა მიღებული.

– ახლა გავრცელდა ინფორმაცია, რომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს და ბრალად დასდეს მოქალაქეებისთვის ე.წ. საზღვრის გადაკვეთაში დახმარება. როგორც ჩანს, იქაური მოქალაქეები გადმოდიოდნენ მავთულხლართებიდან.

– შეიძლება. არის ინფორმაციები, რომ არატრადიციული გზებით ძირითადად იქიდან გადმოდიან ქალები და აქედანაც გადადიან ცხინვალსა და ოსურ სოფლებში. მეც ვიცოდი, რომ ეგეთი რაღაც ხდებოდა, თუმცა, ვერ გეტყვით, ახლა გატაცებული ქალბატონი რამდენადაა ამგვარ საქმეში გარეული.

– ერთი სიტყვით, თუ კი მოქალაქეების გადასვლა-გადმოსვლაში დახმარების გამო მაია ოთინაშვილი გაიტაცეს, დააპატიმრეს და ბრალს უყენებენ, ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საოკუპაციო რეჟიმი ადამიანებს გადაადგილების უფლებას უზღუდავს და, საერთოდ, ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ აძლევს.

– საოკუპაციო რეჟიმი ადამიანებს გადაადგილებაში ხელს რომ არ უშლიდეს, ნათესავს ნათესავთან მისვლა-მოსვლის საშუალებას აძლევდეს, მავთულხლართებს არ გააბამდა, ადამიანებს თავისუფლად გაატარებდა და გამოატარებდა, როგორც იყო 2008 წლამდე. მაშინ შედიოდნენ ჩვენი ქალები ცხინვალში და ამბები გამოჰქონდათ. ახლა საერთოდ აკრძალულია გადასვლა. ახლა არ უნდათ, ვინმე გადავიდეს, არც ის უნდათ, მათი გადმოვიდეს.

– მოგეხსენებათ, დროდადრო აცხადებენ, რომ ისინი ე.წ. საზღვარს კეტავენ მათი სადღესასწაულო დღეების გამო, ანუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვიღაც მაინც შედის და გამოდის.

– ამ შემთხვევაში იმ ე.წ. საზღვარზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ოფიციალურად არსებულ ე.წ. სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე. ერთი გამშვები პუნქტი არის ახალგორის, ახალგორელებს აქვთ ე.წ. საშვები, რომლითაც შედიან და გამოდიან. მეორეა ერგნეთში, რომელსაც მაშინ კეტავენ, როცა რაღაც დღესასწაულები აქვთ. ამ დროს იმ ქართველებსაც არ უშვებენ, რომლებსაც ახალგორში შესვლის უფლება აქვთ.

ერგნეთის გამშვები პუნქტით მოძრაობენ წითელი ჯვარი და სასწრაფოები. სასწრაფოებით სამკურნალოდ ავადმყოფები გადმოჰყავთ. ეს არის ორი ოფიციალური გამშვები პუნქტი. მავთულხლართებიდან ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლის მოსახლეობა თუ იპარება.

– თქვენ ბრძანეთ, ერგნეთის გზით სასწრაფოებით ავადმყოფები გადმოჰყავთო. ოფიციალურად ვინმე გადმოჰყავთ საავადმყოფოში თუ არაოფიციალურად ხდება გადმოყვანა? აქამდე ვიცოდით, რომ ადამიანებს შორი გზის (როკის გვირაბისა და ვლადიკავკაზის გამოვლით ლარსიდან შემოდიოდნენ) მოვლა უწევთ იმისათვის, რომ ჩვენ მხარეს მოხვედრილიყვნენ.

– ერგნეთის გზით, წითელი ჯვარის დახმარებით სასწრაფოთი შემოჰყავთ ისეთი ავადმყოფები, რომლებსაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სჭირდებათ.

– ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესასვლელი საშვები, რომლებიც ახალგორის მოსახლეობას გააჩნია, ერთჯერადია?

– რამდენადაც ვიცი, საშვები ერთჯერადი არ არის, თუ არ ვცდები, წელიწადში ერთხელ უცვლიან. უბრალო ქაღალდზეა გაკეთებული, ე.წ. ცხინვალის უშიშროების ბეჭედი აქვს დარტყმული. მაგ საშვს აძლევენ იმ მოქალაქეს, რომელიც ახალგორშია ჩაწერილი. ახალგორში გარკვეული რაოდენობა მოსახლეობისა დარჩა. თუმცა, ახალგორში შესასვლელი საშვები იმ მოქალაქეებსაც აქვთ, რომლებიც წეროვანში ცხოვრობენ. ძირითადად ისეთ ადამიანებს აძლევენ საშვებს, რომლებზეც იციან, რომ ომში არ მონაწილეობდა.

– გუშინ, 2 ოქტომბერს, რუსეთმა დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე. ჩვენს საჰაერო სივრცეში ორი თვითმფრინავი შემოფრინდა. თქვენი შეფასებით, რა უნდა რუსეთს, რას ეძებს, რატომ არღვევს საქართველოს საჰაერო სივრცეს, საქართველოს ხელისუფლებაზე ზემოქმედების მოხდენა სურს?

– ჩემი აზრით, რუსული თვითმფრინავები შემოფრინდნენ იმისათვის, რომ მიმდებარე ტერიტორიები დაეზვერათ, ან იმის შესამოწმებლად, ქართული საჯარისო ნაწილები ხომ არ გადაადგილდებიან, ან კიდევ რუსები პროვოკაციას აწყობენ.

– ბატონო გურამ, მგონი, რაღაც მოძრაობები იყო ერგნეთის ბაზრობის გასახსნელად. ამ დროისათვის ერგნეთის ბაზრობის გახსნა გადაიდო?

– ჩემი ინფორმაციით, ცხინვალში ოსებს უთხრეს, შეიძლება, გზაც გაიხსნას, ერგნეთის ბაზრობაც და ამას უნდა შეეგუოთო. თუმცა, ოფიციალურად სამე არც დაწერილა და არც გაცხადებულა.

„ივანიშვილის სახელმა ბინძურ ფორმაში გაიჟღერა და მისი ღირსების საქმეა ყველაფერზე პასუხის გაცემა“

დავით ლორთქიფანიძე: „როცა ეროვნულ ზარაფხანას ვხელმძღვანელობდი, ნაციონალები ოფშორში დიდი ფულის გადარიცხვას მთხოვდნენ“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის მე-8 მოწვევის დეპუტატი **დავით ლორთქიფანიძე** ბოლო დროს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „ახალ თაობა“ ესაუბრა.

– ბატონო დავით, ბოლო პერიოდში გასაოცარ ინფორმაციებს ვისმენთ. თქვენ რა აზრის ხართ, ხელისუფლებისა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ „ომეგას“ დამფუძნებელ ოქუაშვილის ბრალდებებზე?

– სიბინძურეები, რაც ბოლო პერიოდში იფრქვევა ტელევიზიების საშუალებით, სასიამოვნო არ არის და რაღაც ეტაპზე მოსახლეობაზე მოქმედებს. ეს არის ხელისუფლების მთავარი გამოწვევა და ამასთან დაკავშირებით ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილი უნდა იყოს.

– თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე?

– ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. პირველ რიგში, უნდა დადგინდეს ამ ჩანაწერების ავთენტურობა, ამის შემდეგ შეიძლება დანარჩენზე საუბარი. დღეს აბსოლუტურად გაურკვეველი სიტუაციაა. ყოველდღე საზოგადოებას მიეწოდება რაღაც ახალ-ახალი დამონტაჟებული ჩანაწერები, რაც საზოგადოებაში დაბნეულობას იწვევს.

– ოქუაშვილი აცხადებს, რომ მას ბიძინა ივანიშვილმა 4 მილიონი მოსთხოვა. ამაზე რა კომენტარი გაქვთ?

– ოქუაშვილი ამბობს, რომ მან ჩაურიცხა 4 მილიონი ახალშექმნილ ფირმას და შემდეგ დარჩა გაკვირვებული, რომ ეს თანხა ბანკიდან გაიტანეს. ჯერ ერთი, თუ ფული ჩაურიცხა, შემდეგ ამ ფულის გატანებას რატომ არ აპირებდა, რატომ ჰქონდა იმის განცდა, რომ ის ფული იქიდან არ უნდა გაეტანებინა. ამ ფირმის დირექტორი ამბობს, ფული ჩავრიცხეთ, ბანკში მივედით და შემდეგ ამ ფულის გამოტანის არანაირი წინაპირობა არ იყოო. ვერ ვხვდები, მაშინ რისთვის ჩაურიცხა „ომეგამ“ 1 დღეში შექმნილ ფირმას ფული? აქ ჩნდება კითხვის ნიშნები.

– ფული გამოიტანეს და ჩანთით წაიღესო. ფოტო გამოაქვეყნეს, შავი ჯიპებით ელოდებოდნენო.

– ვთქვათ, ოქუაშვილმა ჩაურიცხა თანხა. ვკითხულობ, რატომ ჩაურიცხა 1 დღეში შექმნილ ფირმას თანხა, თუ იმ თანხის გადახდას არ აპირებდა? რაღას ეძებს ოქუაშვილი, ბანკიდან რომელ საათზე იქნა ის თანხა გამოტანილი? შავი ჯიპებით ვიღაცები დახვდნენო. ვთქვათ, ლევან ყიფიანი ჯდებოდა ჯიპში. ამით რისი დადასტურება შეიძლება, ჯიპში ჩაჯდომა დანაშაულია?

მე რომ ლევან ყიფიანის დამცველად არ გამოვდგები, მთელმა ქვეყანამ იცის. მე-8 მოწვევის პარლამენტში იმ კომიტეტის წევრი ვიყავი, რომელმაც ლევან ყიფიანი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. ამიტომ ლევან ყიფიანის დაცვა არ გამოვა და არც ვაპირებ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას – ამ სიცრუის მორევში ყოფნა აბსოლუტურად წარმოუდგენელია.

ახლა მე გეტყვით ძალიან საინტერესო ფაქტს, რომელიც დაკავშირებულია ნაციონალების სცენარებთან.

– რა ფაქტზე მიუთითებთ?

– 2004 წელს, როდესაც მე ვიყავი საქართველოს ეროვნული ზარაფხანის დირექტორი, მაშინ ჩემთან რეკავდნენ და სოლიდურ თანხას მძალავდნენ.

– ვინ გირეკავდათ და ვინ გძალავდათ ფულს?

– როგორც ეროვნული ზარაფხანის გენერალურ დირექტორს, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში მირეკავდნენ და ძალიან სოლიდურ თანხას მძალავდნენ.

– გამოგძალეს?

– თანხის გამოძალვის პერიოდში, რამდენიმე კვირის განმავლობაში, მითხრეს, რომ თუ არ მოვიქცეოდი წესიერად, როგორც „ომეგას“ დაემართა, ისე დამემართებოდა მეც. „ომეგა“ იყო პირველი კომპანია, სადაც ნაცმოძრაობის ხელისუფლება შევარდა. აღნიშნულის შესახებ მე მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურატურას და სპეციალური განცხადებაც გავაკეთე.

2004 წლის აგვისტოში პროკურატურამ დაზარალებულად მცნო. სექტემბერში ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ შვებულებაში მყოფი დათო ლორთქიფანიძე გაეძევებინათ გენერალური დირექტორის პოზიციიდან.

მიუხედავად ჩემი არაერთი მცდელობისა, დაედგინათ, რასთან გვქონდა საქმე, მას შემდეგ გამოძიებას არაფერი გაუკეთებია. ამიტომ ახლა ნაცმოძრაობის საუბარი რაღაც თანხების გამოძალვაზე და ოქუაშვილის მხარეს დადგომაზე, ჩემთვის მიუღებელია. ასევე საერთოდ გაუგებარი და მიუღებელია ოქუაშვილის განცხადება, რომ ის მხარს უჭერს ვაშაძეს, როგორც ნაცმოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატს. ყველაფერს აქვს საზღვარი.

ამიტომ ამ საქმის გამოძიება მხოლოდ ხელისუფლების ღირსების საქმე არ არის. ეს არის ბიძინა ივანიშვილის ღირსების საქმეც. ამიტომ ეს საქმე ბოლომდე უნდა იქნას გამოძიებული და ყველაფრისთვის თავისი სახელი დარქმეული. თუ ვინმე სარგებლობდა ბიძინა ივანიშვილის სახელით, მანაც უნდა აგოს პასუხი.

– ფიქრობთ, რომ ბიძინა ივანიშვილის სახელით ვინმე სარგებლობდა?

– არ გამოვრიცხავ, ვიღაცები მართლაც სარგებლობდნენ ბიძინა ივანიშვილის სახელით, მაგრამ იმას, რომ ბიძინა ივანიშვილი იყო ჩართული ფულის ახევაში, კატეგორიულად არ დავიჯერებ.

როგორც ჩანს, ოქუაშვილი ყველაფერს იწერდა (ჩამწერ სტუდიასავით არის), ამიტომ მან ყველა ის მტკიცებულება პროკურატურაში უნდა წარადგინოს, ან როგორც მან თქვა, ინგლისის სასამართლოში. მით უმეტეს, თუ ინგლისის სასამართლოში მოხდება საქმის განხილვა, ყველაფერს ნათელი უნდა მოეფინოს.

– ბიძინა ივანიშვილი თვითონ არ უარყოფს, რომ ოქუა შვილს შეხვდა.

– მერე რა!

– მან თქვა, ოქუაშვილს ვეხმარებოდითო. ანუ ოქუაშვილს ჰქონდა გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში და ბიძინა ივანიშვილთან მოეწყო შეხვედრა. ამ დროს ბიძინა ივანიშვილი აღარ იყო პრემიერ-მინისტრი, რა აუცილებლობას წარმოადგენდა ოქუაშვილთან შეხვედრა? რატომ შეხვდა? ოქუაშვილი აცხადებს, 4 მილიონს მთხოვდაო.

– ბიძინა ივანიშვილი არ იყო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, მაგრამ ბიზნესმენია. ბიზნესმენებმა ერთმანეთთან შეხვედრის სურვილი რომ გამოთქვან, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მით უფრო, თუ ოქუაშვილს თავად უნდოდა ივანიშვილთან შეხვედრა და თუ შეხვდა, ამაში დანაშაული არაფერია, მაგრამ რასაც ოქუაშვილი ამბობს ფულის მოთხოვნაზე, მე ვამბობ, ასე ვერ იქნებოდა. თუ იყო, ამაზე უნდა ჩატარდეს გამოძიება.

შეიძლება ოქუაშვილი მივიდა ივანიშვილთან და უთხრა, ასე და ასე ხდებაო. გახარია იყო ბიზნესომბუდსმენი, რომელსაც ბიზნესთან ურთიერთობა ევალებოდა. ის, რომ ოქუაშვილს ბიუჯეტის დავალიანება ჰქონდა და არ ჩამოაწერეს, იმაზე მიანიშნებს, რომ მას დანაშაული არ აპატიეს, ანუ ბიუჯეტისთვის გადასახადის გადაუხდელობით გამოწვეული დანაშაული არ აპატიეს.

– თუმცა, ბიუჯეტის გადასახადის გადახდა გადაუვადეს და დროთა განმავლობაში, გადაუხდელობის გამო, თანდათანობით ვალი იზრდებოდა.

– ამას ვამბობ. როგორც პოლიტიკოსი, ადამიანი, რომელიც ბიზნესისგან შორს არ ვარ (საქართველოს ეროვნული ზარაფხანის გენერალური დირექტორი ვიყავი) და შეხება მქონდა ნაცმოძრაობის დანაშაულებრივ რეჟიმთან და გამოძიებამ არაფერი გააკეთა.

მე ოფშორში გახსნილი ანგარიშის ნომერი გამომიგზავნეს (რომელიც პროკურატურაში წარვადგინე), რომელზეც თანხა უნდა ჩამერიცხა, მაგრამ მე ეს არ გავაკეთე. მეუბნებოდნენ, თუ თანხას არ ჩავრიცხავდი, დამაპატიმრებდნენ. 2004-2012 წლებში, 8 წლის განმავლობაში, ყოველდღე იმის განცდაში ვიყავი, რომ დამაპატიმრებდნენ, რადგან ნაცხელისუფლების მოთხოვნები არ შევასრულე.

– ანგარიშის ნომერი გახსოვთ?

– მე ყველაფერი მახსოვს. ეს არის გამოძიებაში. დღეს ვითომ ოპოზიციის (ეგ რა ოპოზიციაა) დამნაშავე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა შემომითვალა, მშვიდობიანად წავსულიყავი, თორემ ციხეში გამამწესებდნენ. ეს ადამიანი დღეს პოლიტიკაშია.

– ვინ არის ის, ვინც ეს გითხრათ?

– პოლიტიკაშია. მის სახელსა და გვარს დღეს არ დავასახელებ, მაგრამ შეიძლება ზეგ დავასახელო. უბრალოდ, მათი თავხედობა უკვე ზღვარგადასულია. ამიტომ ისმის კითხვა ხელისუფლების მიმართ, რა შეცდომა დაუშვა „ოცნებამ“.

– რა შეცდომა დაუშვა?

– ერთსიტყვიანი პასუხი მაქვს. ჩვენი ხელისუფლების დანაშაული არის კოაბიტაცია, რომელმაც ის მიიყვანა დღევანდელ რეალობამდე, მე ამას ვამბობდი პირველივე დღეებიდან. ამ ხალხს ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხი რომ ეგო, დღეს ისინი რაღაც უბედურებებს აქეთ არ შემოგიბრუნებდნენ. ამიტომ არის ეს ბიძინა ივანიშვილის ღირსების საქმე. ამაზე ყველას უნდა აგებინოს პასუხი.

– ოქუაშვილი ნაცმოძრაობა რომ არ არის? ოქუაშვილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ დღევანდელი ხელისუფლება არის კორუმპირებული და ისევე არეკეტებს ბიზნესს, როგორც ნაცმოძრაობა აკეთებდა ამას.

– ოქუაშვილი ნაცმოძრაობა არ არის, მაგრამ მან ღიად დაუჭირა მხარი გრიგოლ ვაშაძეს და არსად ახსენებს მიხეილ სააკაშვილს მის მიმართ განხორციელებულ ბიზნესტერორში. სანამ ოქუაშვილი ვაშაძეს უჭერს მხარს, ჩემთვის ის ნაცმოძრაობის შემადგენელი ნაწილია.

– მეორე მხრივ, ოქუაშვილს 50 მილიონი გადასახადი რატომ დაუგროვდა, 2014 წლიდან აქამდე რატომ არ გადაახდევინეს? წლების განმავლობაში ჯერ შევარდნაძის დროს პატიობდნენ ბიუჯეტის გადასახადებს, თოფაძეს, ჭყონიას, „რუსთავი-2-ს“, ჩამოაწერეს გადასახადები. მსგავსი პროცესი რატომ გაგრძელდა?

– ეს არის მანკიერი გადმონაშთი ხელისუფლებისა, რამაც დღეს მიგვიყვანა იმ მოცემულობამდე, რომ ოქუაშვილს 50 მილიონი დავალიანება აქვს. ვფიქრობ, ხელისუფლების არამტაცებლურმა პოლიტიკამ და ბიზნესის გვერდში დგომის სურვილმა განაპირობა ის, რომ თავზე არ დაადგნენ და არ აიძულეს დავალიანების მყისიერად დაფარვა.

– მაშინვე რომ გადაეხადა, ამდენი არ დაგროვდებოდა.

– ნაცმოძრაობის დროს ან ძალით გადაახდევინებდნენ და ქონებას თავისთან წაიღებდნენ, ან ქონებას წაართმევდნენ და ვალს ჩამოაწერდნენ. ამ შემთხვევაში არც ერთი მომხდარა, არც მეორე. დღეს მას აქვს ფული გადასახდელი.

– ერთი რამ მაინც გაუგებარია, თუ ოქუაშვილისთვის ვალის გადავადება ხდებოდა და თან ვალი იზრდებოდა, ის 4 მილიონი რისთვის უნდა მოეთხოვა ბიძინა ივანიშვილს?

– საუბარი იყო იმაზე, თითქოს მაშინ 25 მილიონი ჰქონდა გადასახდელი, როცა 4 მილიონი მოსთხოვეს, ანუ თითქოს 25 მილიონის განულება მოხდებოდა და ამისთვის მას, ასე ვთქვათ, 4 მილიონი ქრთამი უნდა გადაეხადა. როგორც ოქუაშვილი ამტკიცებს, მან 4 მილიონი გადაიხადა.

– მაშინ რატომ არ გაუნულდა?

– საქმეც ესაა. ამიტომ ვფიქრობ, არანაირი შეთანხმება ბიძინა ივანიშვილთან და არანაირი ფულის მოთხოვნა არ ყოფილა. ვერ მოხდებოდა 25 მილიონი ვალის გაქრობა რაღაც 4 მილიონის სანაცვლოდ. ამიტომ ეს ყველაფერი ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს და მასზე პასუხის გაცემა ხელისუფლებისა და ბიძინა ივანიშვილის ღირსების საქმეა.

რადგან ბიძინა ივანიშვილის სახელმა გაიჟღერა ბინძურ ფორმაში და მას აკავშირებენ ბინძურ ფინანსურ ეპოპეასთან, ამიტომ მისი ღირსების საქმეა, მან ეს ყველაფერი ბოლომდე მიიყვანოს.

– რატომ უნდა აღმოჩენილიყო ოქუაშვილი ნაცმოძრაობასთან და რატომ უნდა წამოეწყო ის პროცესი, რასაც ვხედავთ?

– არ ვიცი, ის სად აღმოჩნდა, მაგრამ ოქუაშვილმა თვითონ მოახდინა თავისი თავის იდენტიფიკაცია ნაცმოძრაობასთან. ნაცმოძრაობა იყო დამნაშავეთა ის დაჯგუფება, რომელიც შანტაჟის, მუქარისა და ტერორის ქვეშ, ყველაფერს აქცევდა იმ ჩარჩოში, რომლის ვიზუალიზაციაც საზოგადოებისთვის შოკის მომგვრელი იქნებოდა. მე არ ვამტკიცებ, რომ კონკრეტულ პერსონაზე აქვთ კომპრომატი, მაგრამ ნაცებს ძალიან ბევრ პერსონაზე რომ აქვთ რაღაც მასალები, რომლებსაც ისინი აშანტაჟებენ, ეს არის ფაქტი.

– ახლა ამ ჩანაწერების ომით ოქუა შვილიც აშანტაჟებს ხელისუფლებას?

– ოქუაშვილი ცდილობს, ხელისუფლება დააშანტაჟოს. თავის მხრივ, ოქუაშვილს რომ აშანტაჟებს ის ძალა, რომელთან თავისი თავის იდენტიფიცირებაც თვითონ მოახდინა, ორი აზრი არ არსებობს.

6 ყველაზე მაღალანაზღაურებადი თანამდებობის პირი საქართველოში

დასაწყისი მე-4 გვერდზე

დირექტორი დავით საგანელიძე, რომლის წლიური შემოსავალიც ამ პოსტზე 336.000 ლარი იყო. შეგახსენებთ, რომ საგანელიძე „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელ დირექტორად 2015 წლის სექტემბერში დაინიშნა.

ცნობისთვის, სს „საპარტნიორო ფონდი“ არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი რომელიც 2011 წელს დაარსდა. ფონდის მართვაში არსებული აქტივების ჯამურმა ბრუნვამ 2017 წელს 750 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ ფონდი ფლობს საქართველოს რკინიგზის, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის 100%-იან წილებსა და სს „თელასის“ 24.5%-იან წილს.

ყველაზე მაღალანაზღაურებად თანამდებობის პირთა ჩამონათვალში

მოხვდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი/საბჭოს წევრი კობა გვენეტაძეც. მისმა 2017 წლის შემოსავალმა ამ პოსტზე 243.000 ლარი შეადგინა. სებ-ის საბჭოს თავმჯდომარის, პრეზიდენტის თანამდებობას 2016 წლის მარტიდან იკავებს.

მარეგულირებელი კომისიების თავმჯდომარეთა ანაზღაურების ოდენობაზე პრეტენზიები არაერთხელ მოგვისმენია. 6 ყველაზე მაღალანაზღაურებად თანამდებობის პირს შორის მე-4 პოზიციას სწორედ ერთ-ერთი მათგანი – კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე კახა ბექაური იკავებს. მისმა, როგორც კომისიის წევრის შემოსავალმა 2017 წლის განმავლობაში 241.376 ლარი შეადგინა. ბექაური 2014-2017 წლებში კომისიის წევრი, ხოლო 2017 წლიდან დღემდე კომისიის თავმჯდომარის პოსტს იკავებს.

მაღალანაზღაურებად მოხელეთა ჩამონათვალში მე-5 და მე-6 ადგილებს ასევე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრები ელისო ასანიძე და გიორგი ფრუიძე ინაწილებენ. კერძოდ, ელისო ასანიძის შემოსავალმა 2017 წელს 235.555 ლარი შეადგინა, ხოლო გიორგი ფრუიძემ ამავე პერიოდში 234.620 ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო.

ცნობისთვის, კომუნიკაციების ეროვნული კომისია საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა. მაუწყებლობის სფეროსა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს მარეგულირებელმა ორგანომ საქმიანობა 2000 წლის 1 ივლისს დაიწყო. კომისია ექვსი წლის ვადით არჩეული ხუთი წევრისგან შედგება. კომისია, კომისიის წევრები და კომისიის აპარატის თანამშრომელი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

BPN

გიორგი ჩივიაშვილი: „იმედია, მერაბიშვილს სრულად გამოიკვლევენ და, მინიმუმ, დიაგნოზს მაინც გვეტყვიან“

ნონა ცაბაძე

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, ვანო მერაბიშვილი, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან კლინიკაში გადაიყვანეს. „ახალი თაობა“ ადვოკატ გიორგი ჩივიაშვილს ესაუბრა.

– გიორგი, თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი ვანო მერაბიშვილი კვლავ კლინიკაში გადაიყვანეს. რა გახდა ამის მიზეზი?

– მე ვესაუბრე მთავარ ექიმს და გენერალურ დირექტორს. ჯერ დიაგნოზი არ არის დასმული. მისი გადაყვანა უკვე მეხუთედ გახდა საჭირო სამოქალაქო საავადმყოფოში. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ არის ჰორნერის სინდრომი, ხოლო რამ გამოიწვია ეს სინდრომი, არ ვიცით. ამ ფონზე ჩვენ ვისმენთ იუსტიციის მინისტრის განცხადებებს, რომ მერაბიშვილს არაფერი სჭირს და, ამ ყველაფრის მიუხედავად, ის გადაჰყავთ კვლევებზე.

– რა სიმპტომებით გადაიყვანეს თქვენი კლიენტი კლინიკაში?

– სიმპტომები იგივეა, რაც ჰქონდა აქამდე. სამწუხაროდ, დაწყების დღიდან იგივე სიმპტომებია, არაფერი შეცვლილა და უკვე ორ თვეზე მეტია, დიაგნოზს ვერ სვამენ.

– თქვენ გამოთქვით ვარაუდი, რომ პენიტენციარული სისტემა ნამდვილ დიაგნოზს მალავს. რატომ გაგიჩნდათ ეს ეჭვი?

– იმიტომ, რომ ჩვენ არ გვაძლევენ თუნდაც წინა კვლევის შედეგებს, რომელიც კლინიკა ავერსში ჩატარდა. მოვითხოვეთ, გვეუბნებიან, რომ მოგვცემენ, მაგრამ დღემდე არ აგვიღია. ამ ფონზე კი ვიგებთ, რომ ამ კვლევების შედეგები იცის იუსტიციის მინისტრმა და სასჯელაღსრულებამ. არ იცის ოჯახმა, არ ვიცით ჩვენ და იცის თეა წულუკიანმა.

ბუნებრივია, კითხვები ჩნდება, რატომ არ გვაძლევენ? როგორც ირკვევა, საქართველოში მერაბიშვილის დიაგნოზის დადგენა არ შეუძლიათ.

– რა დიაგნოზზე ფიქრობთ, რაზე გაქვთ ეჭვი?

– ან ინტოქსიკაციაა, ან სიმსივნურია. დღესდღეობით გვეუბნებიან, რომ არცერთი არ არის, თან იმ ფონზე გვეუბნებიან, რომ არ არის, როდესაც ინტოქსიკაციაზე კვლევები არ ჩასტარებია. ეს ეჭვებს კიდევ უფრო გვიღრმავებს.

– გამოდის, რომ თეა წულუკიანმა იცის დიაგნოზი, რადგან ის აცხადებს, რომ ვანო მერაბიშვილს არაფერი სჭირს.

– სავარაუდოდ, იცის და, თუ იცის, მაშინ ჩვენ რატომ გვიმალავენ და არ გვეუბნებიან?! ან მეორე ვარიანტია, რომ ის, უბრალოდ, იტყუება.

– ითქვა, რომ ვანო მერაბიშვილი შედარებით ხანგრძლივი ვადით შეიყვანეს კლინიკაში. ასეა?

– ექიმებმა მითხრეს, რომ მათ დრო დასჭირდებათ კვლევებისთვის. წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, ის დარჩება კლინიკაში. ექიმმა მითხრა, რომ ვანო მერაბიშვილთან შევა სხვადასხვა პროფილის რამდენიმე ექიმი, მოხდება სრულყოფილი, ახალი კვლევების ჩატარება, ვინაიდან ჰორნერის სინდრომთან დაკავშირებით არ არის დადგენილი, რამ გამოიწვია ეს სინდრომი. ეს შეიძლება იყოს სიმსივნური ან იყოს ინტოქსიკაცია. იმედია, მალე მოგვაწვდიან ავერსის კლინიკის კვლევებსაც.

დიდი იმედი მაქვს, რომ ამ კლინიკიდან ვანო მერაბიშვილის გაყვანა არ მოხდება ისე, როგორც წინა შემთხვევებში, მიიყვანდნენ და ნახევარ საათში უკან მიარბენინებდნენ. იმედია, სრულად გამოიკვლევენ და მინიმუმ დიაგნოზს მაინც გვეტყვიან, რა სჭირს ამ ადამიანს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გვითხრას ხელისუფლებამ, რომ უძლურები არიან და არ შეუძლიათ ამ ადამიანისთვის დიაგნოზის დასმა.

– ბოლო პერიოდია, ბევრს საუბრობენ ვანო მერაბიშვილის შეწყალების თაობაზე. ამაზე უმრავლესობის წევრებიც ალაპარაკდნენ. დადგება მისი შეწყალების საკითხი დღის წესრიგში?

– მე ვერაფერს გეტყვით მაგასთან დაკავშირებით. შეწყალება არის პრეზიდენტის პრეროგატივა. მას თუ სურს, შეუძლია, შეიწყალოს, არ არის საჭირო სხვა არანაირი განცხადებები ამასთან დაკავშირებით, უფრო მეტიც, ეს აქამდეც შეეძლო გაეკეთებინა. მე-13 მუხლის დარღვევა აქვს დადგენილი საქართველოს მთავრობას, სტრასბურში მოგებული აქვს მერაბიშვილს პროცესი საქართველოს წინააღმდეგ. შესაბამისად, თუ მათ სურთ, ამას გააკეთებენ, მაგრამ, ვიმეორებ, მერაბიშვილის დაპატიმრება იყო პოლიტიკური და მისი გათავისუფლებაც იქნება პოლიტიკური.

– ფიქრობთ, რომ ისე წავა მარგველაშვილი, ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს?

– არ ვიცი, რას იზამს მარგველაშვილი. აქამდე მსგავსი არაფერი უქნია და არც ის ვიცი, ამის მერე რას აპირებს.

გიგაური-ხაინდრავას საქმეზე ვანო მერაბიშვილსა და ბადრი ბიწაძეს გამოკითხავენ

თბილისის საქალაქო სასამართლოში ეკა გიგაურსა და გოგა ხაინდრავას შორის დავის განხილვა ვანო მერაბიშვილისა და ბადრი ბიწაძის დაკითხვით გაგრძელდება.

როგორც მოსამართლემ აღნიშნა, მერაბიშვილსა და ბიწაძეს უწყებები უახლოეს პერიოდში გაეგზავნებათ.

– შემდეგ პროცესზე მოიყვანენ ვანო მერაბიშვილსა და ბადრი ბიწაძეს, რომლებიც დაადასტურებენ ან არ დაადასტურებენ საკუთარ ხელმოწერებს. ის, რაც ხდება, არის საოცარი, ქალბატონი გიგაური არ მობრძანდება პროცესზე, როცა სარჩელის ინიციატორი არის თავად. მიდის ზეწოლა არა მარტო საზოგადოებაზე, არამედ სასამართლოზე, რადგან ხვდება, რომ ცუდად აქვს სასამართლოში საქმე. ის ემალება სასამართლოს. მან ვადაზე ადრე მიიღო კაპიტნის წოდება, – განაცხადა პროცესზე გოგა ხაინდრავამ.

ეკა გიგაურის ადვოკატი თეონა ზაქარაშვილი ამბობს, რომ ხაინდრავა კვლავ ცილისმწამებლურ განცხადებებს ავრცელებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ დირექტორმა ეკა გიგაურმა გოგა ხაინდრავას და გურამ ადამაშვილს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის უჩივლა.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, საქმე ეხება 2014-2015 წლებში ხაინდრავასა და ადამაშვილის მიერ სატელევიზიო ეთერით გაკეთებულ განცხადებებს. მოპასუხეებმა გიგაურს ბრალად დასდეს 2007 წლის ნოემბრის აქციების ძალისმიერი მეთოდით დაშლა და წახალისება. ეკა გიგაურის უფლებადამცველი სიმბოლურად, მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 30 თეთრს ითხოვს.

რეჟისორი გოგა ხაინდრავა აცხადებს, რომ აქვს ბრძანება, რომელიც ეკა გიგაურისთვის კაპიტნის წოდების ვადაზე ადრე მინიჭებას ადასტურებს.

ხაინდრავას განცხადებით, კაპიტნის წოდება გიგაურმა 7 ნოემბრის აქციაში დარბევის გამო მიიღო. მისივე ხელმოწერით 7 ნოემბრის დარბევაში მონაწილე ბარისახოს მესაზღვრეები კი პრემიით დაჯილდოვდნენ.

გიგაურის უფლებადამცველების თქმით, სასაზღვრო პოლიციასა და ეკა გიგაურს 7 ნოემბრის დარბევაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

საქალაქო სასამართლოში შემდეგი პროცესი 8 ნოემბერს, 15:00 საათზე გაიმართება.

თაკო სალაყაია: „ვანოს ნახვის უფლებას არ მაძლევენ... ადვილია, ვიზუალურად შეამჩნიო, რაც სჭირს მას“

შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის მეუღლემ, თაკო სალაყაიამ, სპეციალურ ბრიფინგზე თავისი მეუღლის ჯანმრთელობის შესახებ ისაუბრა.

სალაყაია ამბობს, რომ მას მეუღლის მონახულების საშუალება არ ეძლევა. თაკო სალაყაიას თქმით, მერაბიშვილის ნახვის თაობაზე შესაბამისი განცხადებით სასჯელაღსრულების დაწესებულებას მიმართა, თუმცა განცხადება ამ დრომდე დაკმაყოფილებული არ არის.

– ძალიან ადვილია, ვიზუალურად შეამჩნიო, რაც სჭირს ვანოს. კლინიკაშია და ნახვის სურვილი მაქვს, ამის უფლებასაც არ გვაძლევენ. განცხადება შევიტანეთ და ჯერჯერობით დაკმაყოფილებული არ არის. ადვოკატმა შეიტანა ეს განცხადება, რომ უნდა მოვინახულოთ და არ გვაძლევენ ამის საშუალებას, ჯერჯერობით.

ოჯახთან არასდროს ყოფილა შეთანხმებული მისი ციხიდან რომელიმე ჰოსპიტალში გადაყვანა. ამაზე ტელევიზიის ან ადვოკატების მეშვეობით ვიგებდით. მკურნალობენ, თუმცა დიაგნოზი დასმული არ არის. ხუთი გამოკვლევის შემდეგ არის მხოლოდ სიმპტომატური, უშედეგო მკურნალობა ჩატარებული, – აღნიშნა თაკო სალაყაიამ.

ნიუბოსტი

ირაკლი ნადარეიშვილი ზაზა ოქუაშვილის განცხადებაზე: „უარვყოფ ინფორმაციის მოძიებას ჩვენი დეპარტამენტის მიერ სხვა მიზნებით“

– ზაზა ოქუაშვილი რა ინტერპრეტაციით საუბრობს, ამას მე ვერ გეტყვით. კატეგორიულად უარვყოფ ინფორმაციის მოძიებას ჩვენი დეპარტამენტის მიერ სხვა მიზნებით.

ამის შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ნადარეიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

კერძოდ, ჟურნალისტები დაინტერესდნენ ზაზა ოქუაშვილის განცხადების შეფასებით იმის თაობაზე, თუ რა შეხება ჰქონდა პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტს „ომეგა ჯგუფის“ საქმესთან და ზაზა ოქუაშვილთან.

ირაკლი ნადარეიშვილმა განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ წლების წინ ის ჩართული იყო მხოლოდ „ომეგა ჯგუფისა“ და „იბერიის“ საქმეზე, რომელიც ახლა სასამართლოში განიხილება.

– ჩემი დეპარტამენტი სწავლობდა იმ განცხადებებს და იწყებდა გამოძიებას იმ საკითხებზე, სადაც აღინიშნებოდა დანაშაულის ნიშნები. მათ შორის „ომეგასა“ და ტელეკომპანია „იბერიის“ უკანონო ჩამორთმევის ფაქტს. დეპარტამენტმა ტელეკომპანია „იბერიას“ უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტზე დაასრულა გამოძიება და დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა იმჟამინდელი გენპროკურორის ზურაბ ადეიშვილის და მისი პირველი მოადგილის გიორგი ლაცაბიძის მიმართ და საქმე სასამართლოშია.

უკვე დასრულებულია ბრალდების მხარის მტკიცებულებათა მოკვლევა და საქმე დასკვნით ეტაპზეა. შესაბამისად, გარკვეული პერიოდის შემდეგ სასამართლო განაჩენიც იქნება.

ამდენად, დეპარტამენტმა ტელეკომპანია „იბერიას“ მიმართულებით დაასრულა გამოძიება. დეპარტამენტის საქმიანობა ამ ეტაპზე ამოიწურა აღნიშნულით. დანარჩენი საქმის მიმართ, რომელიც გამოყოფილია, მიმდინარეობს გამოძიება. ასე, რომ დეპარტამენტის საქმიანობა სრულიად გამჭვირვალე იყო და ჩვენ გვქონდა მჭიდრო და უშუალო კავშირი როგორც ზაზა ოქუაშვილთან, ასევე სხვა დაზარალებულებთან.

ზაზა ოქუაშვილი რა ინტერპრეტაციით აცხადებს, ამას მე ვერ გეტყვით. კატეგორიულად უარვყოფ ინფორმაციის მოძიებას სხვა მიზნებით დეპარტამენტის მიერ, – განაცხადა ირაკლი ნადარეიშვილმა.

სააპელაციო სასამართლოში ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმის სხდომა გადაიდო

სააპელაციო სასამართლოში ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმის განმხილველი სხდომა გადაიდო.

ამის შესახებ ჟურნალისტებს საქმის პროკურორმა თორნიკე ნადირაძემ განუცხადა.

პროკურორის თქმით, დაცვის მხარემ მოითხოვა სხდომის გადადება, რათა ახალ მტკიცებულებებს გასცნობოდა.

– ბრალდების მხარემ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე ახალი მტკიცებულებების დართვასთან დაკავშირებით. კონკრეტულ შემთხვევაში, საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ახალი მტკიცებულება უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის კრიტერიუმებს და ერთ-ერთი ასეთი კრიტერიუმი არის, რომ აღნიშნული მტკიცებულების მანამდე წარმოდგენის შესაძლებლობა არ უნდა არსებობდეს და მეორე, უნდა იყოს რელევანტური.

ბრალდების მხარემ დაასაბუთა, რომ ეს ორივე მნიშვნელოვანი კომპონენტი დაცული იყო მის მიერ. დაცვის მხარემ მოითხოვა სხდომის გადადება იმ მოტივით, რომ გაეცნობა ჩვენს მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, – განაცხადა ნადირაძემ.

მისივე თქმით, საქმე ეხება მოწმეების დაკითხვას, რასაც ითხოვს სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარე.

– მეორე მხრივ არის საპროცესო დოკუმენტები, რომელთა დართვასაც ითხოვენ, – აღნიშნა ნადირაძემ.

მომდევნო სხდომა 16 ოქტომბერს, 14:00 საათზე ჩაინიშნა.

კაცს, რომელიც ცოლს დაწვით ემუქრებოდა, 2 წლით პატიმრობა მიესაჯა

თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ ყოფილი მეუღლის მიმართ მუქარაში ბრალდებული ს.დ. დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

„სასამართლოში წარდგენილი მტკიცებუებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 30 მაისს განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ს.დ. ყოფილი მეუღლის ა.დ.-ს სახლში შვილების წასაყვანად მივიდა, რაზეც ა.დ.-მ უარი უთხრა. აღნიშნულით განაწყენებული ს.დ. ყოფილი მეუღლის სახლში შეღწევის მიზნით კარს ძლიერად ურტყამდა, შემდეგ კი ყოფილ მეუღლეს გადაწვით დაემუქრა და სახლის მიმდებარედ მდგომი ავტომანქანიდან საწვავის ჩამოსხმას ცდილობდა.

სამართალდამცველებმა ს.დ. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ტერეზა მეი: „ევროკავშირი საბჭოთა კავშირს არ ჰგავს“

ევროკავშირი საბჭოთა კავშირს არ ჰგავს, – ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯერემი ჰანტის განცხადებაზე საპასუხოდ განაცხადა.

– ევროკავშირში არიან ქვეყნები, რომლებიც ადრე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყვნენ. ახლა ისინი დემოკრატიული ქვეყნები არიან და მე შემიძლია გითხრათ, რომ ეს ორგანიზაციები ერთი და იგივე არაა, – განაცხადა მეიმ.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯერემი ჰანტმა ევროკავშირს მოუწოდა, არ დაემსგავსოს ისეთ ციხეს, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო.

ბარსელონაში კატალონიის პოლიციის 30 თანამშრომელი დაშავდა

ბარსელონაში 1-ელი ოქტომბრის საპროტესტო აქციების შედეგად, კატალონიის პოლიციის 30-მდე თანამშრომელი დაშავდა. ამის შესახებ ავტონომიური რეგიონის პოლიცია იუწყება.

20-მა პოლიციელმა დაზიანებები კატალონიის პარლამენტის შენობასთან, დანარჩენებმა კი ბარსელონას პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მიიღეს.

ამ დრომდე საპროტესტო აქციების არც ერთი მონაწილე დაკავებული არ არის.

შეგახსენებთ, რომ 1 ოქტომბერს კატალონიის რამდენიმე ქალაქში, მათ შორის ბარსელონაში, საპროტესტო აქციები გაიმართა, რომლებიც 2017 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებული რეფერენდუმის წლისთავს მიეძღვნა. საპროტესტო აქციებში რეგიონის ესპანეთის შემადგენლობიდან გასვლის მომხრეები მონაწილეობდნენ.

ბარსელონაში გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა 180-მა ათასმა ადამიანმა მიიღო.

დემონსტრაცია კატალონიის პარლამენტის შენობასთან დასრულდა, სადაც მომიტინგეებმა პოლიციური კორდონის გარღვევა შეძლეს, რის გამოც პოლიციელთა ნაწილმა თავი შენობას შეაფარა, შემდეგ კი მომიტინგეთა წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

აფეთქება ავღანეთში — 13 ადამიანი დაიღუპა

ავღანეთში, ნანგარჰარის პროვინციაში, დეპუტატობის ერთ-ერთი კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრაზე მომხდარი აფეთქების შედეგად 13 ადამიანი დაიღუპა და 40 დაშავდა.

შემთხვევა პოლიტიკოს ნასირ მოჰმონდის ოფისში მოხდა. აფეთქება თვითმკვლელმა ტერორისტმა განახორციელა.

რეგიონში მოქმედ არც ერთ დაჯგუფებას მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერ არ აუღია.

ინდონეზიაში მიწისძვრისა და ცუნამის მსხვერპლთა რაოდენობამ 1.350-ს მიაღწია

ინდონეზიაში, კუნძულ სულავესზე მომხდარ მიწისძვრასა და ცუნამს, ბოლო მონაცემებით, 1.347 ადამიანი ემსხვერპლა.

გადარჩენილებს საკვები, საწვავი და წყალი ესაჭიროებათ. საცხოვრებელი 17.000-მდე ადამიანმა დატოვა, 2 მილიონ 400.000 მოქალაქეს კი ჰუმანიტარული დახმარება ესაჭიროება.

28 სექტემბერს კუნძულ სულავესის სანაპიროზე 6.1 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მოგვიანებით მიწისძვრა განმეორდა და ამჯერად მისი სიმძლავრე 7.4 მაგნიტუდა იყო, რასაც ცუნამი მოჰყვა.

ფრანგმა მებაჟეებმა უკრაინული ნომრების ავტომობილში 52 მლნ ევროს კოკაინი აღმოაჩინეს

ფრანგმა მებაჟეებმა უკრაინული სანომრე ნიშნებით მოძრავ სატვირთო ავტომობილში 650 კილოგრამი კოკაინი აღმოაჩინეს.

ამის შესახებ ფრანგული მედია წერს.

საბაჟო სამსახურის ინფორმაციით, თევზით დატვირთული ავტომობილი მებაჟეებმა ქალაქ ტულუზას მახლობლად გააჩერეს. ავტომობილს ნიდერლანდების ორი მოქალაქე მართავდა. მებაჟეებმა მათ ნერვიულობა შეატყვეს და ტვირთის დეტალური შემოწმება გადაწყვიტეს.

ფრანგული მედიის ინფორმაციით, ამოღებული კოკაინის ღირებულება შავ ბაზარზე 52 მილიონ ევროს შეადგენს.



ბალტიის ზღვაში ბორანს ცეცხლი გაუჩნდა

გუშინ, 2 ოქტომბერს, ბალტიის ზღვაში ლიეტუვის ბორანს ცეცხლი გაუჩნდა.

საზღვაო ხომალდის ბორტზე 335 ადამიანი იყო. ის გერმანიიდან ლიეტუვაში მიდიოდა და ავტომობილებით იყო დატვირთული.

ცეცხლი მალე ჩააქრეს. მომხდარს ყველა უვნებელი გადაურჩა.

ინციდენტი რუსეთის ეკონომიკურ ზონაში, კალინინგრადის წყლებში მოხდა.

სამაშველო ოპერაციაში რუსული მხარეც იყო ჩართული.

ავსტრალიაში ნიანგი ნახევარი წელი კანალიზაციაში იმალებოდა

ავსტრალიაში ნიანგის დაჭერა, რომელიც თავს კანალიზაციას აფარებდა, ნახევარი წლის შემდეგ მოხერხდა.

2,1 მეტრი სიგრძის რეპტილია კვინსლენდის პროვინციის ქალაქ პორტ დუგლასის ჰაერის გამწმენდი სადგურის მახლობლად ბინადრობდა. ექვსი თვის განმავლობაში ის მოხერხებულად იმალებოდა კანალიზაციაში.

სპეციალისტებმა ქალაქის ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა დუგლას ჯული ლიმ განაცხადა, რომ ახლა უკვე შვებით ამოისუნთქეს, ვინაიდან რეპტილია დაჭერილია და ჰაერის გამწმენდი სადგურის თანამშრომლებს საფრთხე აღარ ემუქრებათ.

– ქალაქის საბჭო შეწუხებული იყო ნიანგის საკანალიზაციო სისტემაში ბინადრობის გამო. მადლობას ვუხდით რეინჯერებს რეპტილიის დაჭერაში მათი ძალისხმევისთვის, – განაცხადა დუგლას ჯული ლიმ.



ზვიგენი მეთევზის ნავს თავს დაესხა

ლიმონის ზვიგენი მეთევზის ნავს, რომელიც ბარაკუდებზე თევზაობდა ბაჰამის კუნძულებთან, თავს დაესხა.

კუნძულ ელიუთერის მკვიდრი ჯეიმს მუნრო ნავით თევზაობდა, როდესაც მის მიერ გადაგდებულ სატყუარას პირი 120 სანტიმეტრიანმა ზვიგენმა სტაცა. როდესაც მამაკაცმა გადაწყვიტა, რომ სათევზაო ანკესის ძუა გადაეჭრა, მტაცებელი თევზი კბილებით ნავის ძრავს ჩააფრინდა.

– უკიდურესად გაოგნებული დავრჩი მომხდარით, – გაიხსენა მეთევზემ, – ასეთ რამეს სრულიად არ ველოდი. საბოლოოდ ძუა მაინც გადავჭერი, ძრავა აქეთ-იქით მივატრიალე და ზვიგენმაც მას თავი ანება.

ლიმონის ზვიგენები ატლანტის და წყნარი ოკეანის ტროპიკულ წყლებში ბინადრობენ. მათი სიგრძე 340 სანტიმეტრს აღემატება და ადამიანისთვის საფრთხეს წარმოადგენენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ქალების ყაიმი ინდოეთთან და შანსი ოქროსთვის

ბათუმის სპორტის სასახლეში მიმდინარე 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადა დასკვნით ფაზაში შევიდა. მე-7 ტურის პარტიების შემდეგ ორივე სატურნირო ცხრილში კიდევ უფრო მეტი სიმჭიდროვე შეიქმნა.

ბუნებრივია, ქართველი გულშემატკივრის ყურადღება ძირითადად საქართველოს ქალთა ნაკრებისკენ არის მიმართული, რომელიც მედლებისთვის მებრძოლ ნაკრებთა შორის გახლავთ და კიდევ ერთი მძიმე დაპირისპირება გადაიტანა. საქართველო ტურნირზე მე-5 ნომრად განთესილ ინდოეთის ნაკრებს შეხვდა და 2:2 ითამაშა. ქართველი გოგონები ყაიმზე ამ თანმიმდევრობით შეთანხმდნენ – ძაგნიძე, ხოტენაშვილი, ჯავახიშვილი და ბოლოს ბაციაშვილი. ბაციაშვილი ბევრს ეცადა, მაგრამ სამწუხაროდ, მეტოქის გატეხვა ვერ შეძლო. ნაკრების კაპიტანი ელიზბარ უბილავა მსაჯთან მივიდა და ყაიმის გაფორმება სთხოვა.

უმნიშვნელოვანესი იყო მეორე ნაკრების გამარჯვება ფილიპინებთან – 3:1. ამ ქულებმა მეორე გუნდს პოზიციები გაუმყარა და ის ლიდერთა შორის არის და მედლებისთვის ბრძოლის შანსიც აქვს. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება იოლი არ იქნება. ფილიპინელებთან სალომე მელიამ და სოფიო გვეტაძემ ყაიმით ითამაშეს, ხოლო ინგა ჭარხალაშვილმა და მირანდა მიქაძემ გუნდს ქულები მოუტანეს.

იმარჯვა ქალთა მესამე ნაკრებმაც ავსტრიასთან – 4:0. თავიანთი პარტიები მოიგეს ნინო ხომერიკმა, მარიამ ჯანიაშვილმა, ლილე ქორიძემ და თამარ ესაძემ.

ვაჟთა ნაკრებმა დამაჯერებლად დაამარცხა მაკედონია 4:0 და სატურნირო ცხრილში პოზიციას გაიუმჯობესებს, თუმცა ჩვენმა გუნდმა განვლილ 6 ტურში ძალიან ბევრი ქულა დაკარგა და ისედაც შემჭიდროვებულ ცხრილში, სადაც ძალიან დიდი კონკურენციაა, რამდენიმე საფეხურით დაწინაურება გაუჭირდება. პარტიები მოიგეს ბაადურ ჯობავამ, ივან ჩეპატინოვმა, ლევამ ფანცულაიამ და დავით ჯოჯუამ.

კარგია, რომ ნინო გურიელის ოთხეულმა დამაჯერებლად გაიმარჯვა, ეს წარმატება დადებითად იმოქმედებს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და დარჩენილ 4 ტურში უფრო თავდაჯერებულს გახდის. ძალიან ხშირად კვანძი სწორედ ბოლო 4 ტურში იხსნება და აქ საუბარი არ არის მხოლოდ მედლებისთვის მებრძოლ გუნდებზე. საქართველოს ვაჟთა ნაკრების მიზანი მაქსიმალურად მაღალი პოზიციის დაკავებაა და ვნახოთ, ჩვენი ვაჟები რამდენად შეძლებენ ამის გაკეთებას.

სამწუხაროდ, ვაჟთა მეორე ნაკრები 1.5:2.5 დამარცხდა კოლუმბიასთან.

ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა მესამე ნაკრებმა კი 1:3 წააგო მოლდოვასთან.

ზედიზედ 6 გამარჯვების შემდეგ აზერბაიჯანის და პოლონეთის ვაჟთა ნაკრები გუნდები პირველ მაგიდას მიუსხდნენ. ლიდერთა დაპირისპირება 2:2 დასრულდა.

ოლიმპიადის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტთან (აზერბაიჯანი ბათუმში მეოთხე ნომრადაა განთესილი) მოპოვებული ქულა პოლონეთისთვის, რომელიც რეიტინგში მეთერთმეტეა,

ტურნირის დაწყებამდე უდავოდ წარმატებად ჩაითვლებოდა, მაგრამ განვლილი დღეების განმავლობაში ამ ოთხეულმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ არათუ ლიდერთა შორის დამკვიდრებას, მედლებისთვის ბრძოლას აპირებს. შესაბამისად, მათი სტაბილურად თავდადებული ბრძოლა გასაკვირი აღარაა.

მეტოქეების ყაიმით შესანიშნავად ისარგებლა ტურნირის პირველმა ნომერმა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა, რომელიც განვლილ 6 ტურში 5 გამარჯვებით და ერთი ფრით მესამე იყო: მათ ხორვატები დაამარცხეს – 3:1.

ვაჟთა პაექრობებიდან აღნიშვნას იმსახურებს გერმანიის და ჰოლანდიის, ასევე ჩეხეთისა და ისრაელის დაპირისპირებები. ორივე მატჩი 2:2 დასრულდა. 7 ტურის შემდეგ გერმანიის და ისრაელის ნაკრები გუნდები კვლავ წაუგებლები არიან, მაგრამ მხოლოდ 4 გამარჯვების ხარჯზე, დაწინაურებულებს გვარიანად ჩამორჩებიან.

ორტურიანი შესვენების შემდეგ მოიგო საფრანგეთმაც – 3:1 უნგრეთთან. საწყისი ოთხი ტურის შემდეგ ფრანგებს ასპროცენტიანი შედეგი ჰქონდათ, თუმცა შემდეგ მხოლოდ ქულა აიღეს და მარაგი გვარიანად შეივსეს.

უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს სომხებმა, რომლებმაც 6 ტურის შემდეგ პირველ ადგილზე დამკვიდრებულ ამერიკელებს სძლიეს – 2,5:1,5.

გაიმარჯვა ჩინეთმაც და სატურნირო ცხრილში ამერიკას გადასწრო. მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა ჰოლანდიას მოუგო – 3:1.

მიჯრით 2 ფრის შემდეგ (საქართველოს პირველ ნაკრებთან და ჩინეთთან) გაიმარჯვა უკრაინამ, რომელმაც ირანის წინააღმდეგობა დაძლია. რეიტინგის მეორე ნომერმა მეტოქეს 2,5:1,5 სძლია. ქალთა რეიტინგის ლიდერი რუსეთი კი არასტაბილურ თამაშს განაგრძობს – გამარჯვებებს მარცხს უნაცვლებს, რის გამოც ცხრილის სათავეში დამკვიდრებას ვერ ახერხებს. სომხეთთან წაგების შემდეგ, რუსებმა ბერძნებს აჯობეს.

სატუნირო ცხრილი:

ქალები

1. სომხეთი – 13 ქულა;

2-5. ჩინეთი, უკრაინა, საქართველო (1), რუმინეთი – 12-12;

3-12. აშშ, ინდოეთი, აზერბაიჯანი, იტალია, უნგრეთი, საქართველო (2), ყაზახეთი – 11-11;

29. საქართველო (3) – 9;

მომდევნო ტურის საინტერესო წყვილები:

უკრაინა-სომხეთი; ჩინეთი-რუმინეთი; აშშ-იტალია; უნგრეთი-ინდოეთი; საქართველო (2), აზერბაიჯანი; საქართველო (1)-ყაზახეთი;

კაცები

1-3. აზერბაიჯანი, პოლონეთი, აშშ – 13-13 ქულა;

4. სომხეთი – 12;

5-14. ინდოეთი, ესპანეთი, ისრაელი, საფრანგეთი, ჩინეთი, უკრაინა, გერმანია, ჩეხეთი, ჰოლანდია, ინგლისი – 11-11;

24. საქართველო (1) – 10;

51. საქართველო (2) – 8;

53. საქართველო (3) – 8;

ლოკომოტივს მარცხი გაასხენეს, აიამ ზედიზედ მეორედ წააგო

ხაჩები-ლოკომოტივი 13:7

რუსთავის ხარებმა თბილისის ლოკომოტივს 13:7 სძლია და ქვეყნის ჩემპიონს მიმდინარე სეზონში პირველი მარცხი აგემა. ქვემო ქართლელებმა მეტოქეს 4-მატჩიანი მოგებების სერია შეაწყვეტინეს და ამავდროულად, საკუთარი სერია ოთხამდე გაზარდეს.

თბილისელებს ზედ თამაშის წინ ძირითადი 9 ნომერი გიორგი ბეგაძე ავადმყოფობის გამო გამოაკლდათ და ამან მათზე ძლიერ იმოქმედა. ხარებმა თამაშის სადავეების დაუფლება მოახერხეს, დროის უმეტესი მეტოქის ნახევარზე გაატარეს და გამარჯვებაც დაიმსახურეს.

მატჩი მასპინძლების იერიშებით დაიწყო, შერკინებამ ჯარიმა გამოიმუშავა და დათო თაბუკაშვილმა მე-9 წუთზე ანგარიში გახსნა. მოგვიანებით მან ამავე პოზიციიდან კიდევ ერთი ჯარიმა შეასრულა, მაგრამ ამჯერად მიზანმა უმტყუნა. ნელ-ნელა თამაში გათანაბრდა და ლოკომოტივს მიეცა ანგარიშის გათანაბრების შანსი, თუმცა ლელოზე თამაში არჩია და უქულოდ დარჩა.

ტაიმის მიწურულს ხარებმა დერეფნიდან მოლი ააგორა, რომელიც ზედ ხაზთან შეაჩერეს, თუმცა შემდეგ დარტყმას გიორგი გოგოლაძის ლელო მოყვა და თაბუკაშვილმაც რთული პოზიციიდან გარდასახა.

მეორე ტაიმის საწყისი 10 წუთი ლოკომოტივმა შეტევებში გაატარა და წითელ ზოლშიც რამდენჯერმე შევიდა, მაგრამ ხარები თავს კარგად იცავდა, ამასთან, შემტევებიც სცოდავდნენ და ლელო მხოლოდ 51-ე წუთზე გავიდა. თბილისელთა მძიმე ფორვარდებმა მიძალებებით საქმე გააკეთეს, ფრთაზე სივრცეები გაჩნდა, იოანე ხელაიამ ამით ისარგებლა და მისი ლელო ბექა წიკლაურმა გარდასახა.

ხარებმა დასკვნით ნაწილში შეძლო ინიციატივის დაბრუნება და ახლა მასპინძლებმა ითამაშეს ლელოზე. მათ მიზნის მიღწევა ვერ შეძლეს, თუმცა კარის წინ ჯარიმა გამოიმუშავეს და კობა ბუჯიაშვილმა 75-ე წუთზე ანგარიში 13:7 გახადა.

ლოკომოტივმა თამაშის გადარჩენა სცადა, თუმცა მეტოქის დაცვა არ გატყდა და რუსთაველმა გულშემატკივარმა საყვარელი გუნდის მორიგი დიდი გამარჯვებით გაიხარა.

ლელო-სახასენსი-აია 23:13

თბილისის ლელო-სარასენსმა კაცნაკლულ ქუთაისის აიას 7 წუთში 13 უპასუხო ქულა გაუტანა და მეტოქე 23:13 დაამარცხა.

მატჩი დაძაბული და კარგი საყურებელი გამოდგა. ორივე გუნდი გაშლილ, სწრაფ, ხელდახელ თამაშს ანიჭებს უპირატესობას და ეს სანახაობრივ მხარეზე აისახა.

პირველ ტაიმში სტუმრები მეტოქეზე დიდხანს ფლობდნენ ბურთს და შესვენებაზე 3-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ. მასპინძლები კარგი კონტრშეტევებით პასუხობდნენ და ანგარიშიც სწორედ მათ გახსნეს – მერაბ კვირიკაშვილმა ჯარიმა გაიტანა. თედო აბჟანდაძემ 2 წუთში წონასწორობა აღადგინა, მე-14 წუთზე კიდევ ერთი ჯარიმა გაიტანა და აია 6:3 დაწინაურდა.

ლელო-სარასენსმა უპირატესობა 2 წუთში დაიბრუნა: ქუთაისელებმა საკუთარ 22-თან დაკარგეს ბურთი, კვირიკაშვილმა დაცვაში სივრცე შენიშნა, 20 მეტრი ირბინა და თავისივე ლელოც გარდასახა.

დაწინაურებულმა თბილისელებმა სინბინით როლანდ კვაჭაძე დაკარგეს და აიამ მეტობა 36-ე წუთზე გამოიყენა. მარჯვენა ფრთაზე ბურთი ლაშა ლომიძემ და თორნიკე მანაგაძემ გაითამაშეს და ამ უკანასკნელმა ლელო გაიტანა, ხოლო აბჟანდაძემ გარდასახა – 13:10.

მეორე ტაიმის მე-11 წუთზე ყვითელი ბარათი ბადრი დანგაძემ მიიღო და აიას პრობლემებიც აქედან დაიწყო. კვირიკაშვილმა 3 წუთში ჯარიმა გაიტანა, 57-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან ლელო-სარასენსმა შეუტია, ირაკლი ყიასაშვილმა აკაკი ტაბუცაძეს ზედ გვერდით ხაზთან მისცა პასი, მან ფეხით გადაკიდა, ბურთს თავად მიყვა და კვირიკაშვილმა გარდასახა. 59-ე წუთზე სინბინში დავით გობეჯიშვილიც გაემგზავრა, კვირიკაშვილმა კი 61-ე წუთზე მორიგი ჯარიმა გაიტანა – 23:13.

მიუხედავად ორივე გუნდის მცდელობისა, დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა და ლელოსარასენსმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა, ხოლო აიამ ზედიზედ მეორე მარცხი განიცადა.

ბათუმი-ჯიქი 24:20

გორის ჯიქმა 21-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად, ფარ-ხმალი არ დაყარა და ბათუმს ბოლომდე ებრძოლა, მაგრამ გამარჯვების ლელოს გატანა ვეღარ მოახერხა და მხოლოდ ბონუს-ქულას დასჯერდა.

მასპინძელმა პირველი ტაიმის მიწურულსა და მეორეს დასაწყისში 3 გარდასახული ლელო გაიტანეს, რითაც გამარჯვებისთვის სამყოფი უპირატესობა მოიპოვეს.

როგორც გითხარით, ჯიქმა გაიბრძოლა, სხვაობა 4 ქულამდე დაიყვანა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა და გამარჯვება ბათუმს დარჩა.

ახმაზი-ვეფხვები 55:15

მარნეულის არმაზმა პატარძეულის ვეფხვებს 8 ლელო გაუტანა და დიდი 10-ის დებიუტანტი აქამდე ჩატარებულ მატჩებში ყველაზე დიდი სხვაობით დაამარცხა – 55:15.

გამარჯვებულის ვინაობა ეჭვქვეშ ერთხელაც არ დამდგარა. არმაზი თავიდანვე დაეუფლა ინიციატივას და ბონუსიანი გამარჯვებაც ჩაიწერა აქტივში.

აკადემია-ახმია 28:12

თბილისის აკადემიამ თანაქალაქელი არმია 28:12 დაამარცხა და მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა. „მხატვრებმა“ 3 უპასუხო ლელო გაიტანეს და ბონუსიც ჩაიწერეს.

შედეგები

1 ოქტომბერი
ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიშირი

ბორნმუთი-კრ.პალასი 2:1

საკუთხინიო ცხრილი:

1.სიტი	7	6	1	0	21-3	19
2.ლივერპული	7	6	1	0	15-3	19
3.ჩელსი	7	5	2	0	15-5	17
4.ტოტენჰემი	7	5	0	2	14-7	15
5.არსენალი	7	5	0	2	14-9	15
6.უოტფორდი	7	4	1	2	11-8	13
7.ბორნმუთი	7	4	1	2	12-12	13
8.ლესტერი	7	4	0	3	13-10	12
9.ვულვზი	7	3	3	1	8-6	12
10.მანჩესტერი	7	3	1	3	10-12	10
11.ევერტონი	7	2	3	2	11-11	9
12.ბარნლი	7	2	1	4	9-11	7
13.კრ.პალასი	7	2	1	4	5-8	7
14.ვესტ ჰემი	7	2	1	4	8-12	7
15.ბრაიტონი	7	1	2	4	8-13	5
16.საუთჰემპტონი	7	1	2	4	6-11	5
17.ფულემი	7	1	2	4	8-16	5
18.ნიუკასლი	7	0	2	5	4-10	2
19.კარდიფი	7	0	2	5	4-16	2
20.ჰადერსფილდი	7	0	2	5	3-16	2

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

სელტა-ხეტაფე 1:1

საკუთხინიო ცხრილი:

1.ბარსელონა	7	4	2	1	18:8	14
2.რეალი	7	4	2	1	12:6	14
3.სევილია	7	4	1	2	16:7	13
4.ატლეტიკო	7	3	3	1	8:4	12
5.ბეტისი	7	3	3	1	5:5	12
6.ალავესი	7	3	2	2	10:8	11
7.ესპანიოლი	7	3	2	2	8:6	11
8.სელტა	7	2	4	1	12:10	10
9.ვალიადოლიდი	7	2	3	2	6:6	9
10.ხეტაფე	7	2	3	2	6:6	9
11.ხირონა	7	2	3	2	8:10	9
12.ვილიარეალი	7	2	2	3	5:4	8
13.სოსიედადი	7	2	2	3	9:10	8
14.ვალენსია	7	1	5	1	5:6	8
15.ბილბაო	6	1	4	1	8:10	7
16.ლევანტე	7	2	1	4	11:14	7
17.ეიბარი	7	2	1	4	6:10	7
18.რაიო	6	1	2	3	7:14	5
19.უესკა	7	1	2	4	7:17	5
20.ლეგანესი	7	1	1	5	6:12	4

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ინგოლსთადი-უნიონი 1:2

იტალია. სერია ა

სამპდორია-სპალი 2:1

საკუთხინიო ცხრილი:

1.იუვენტუსი	7	7	0	0	16:5	21
2.ნაპოლი	7	5	0	2	13:10	15
3.ფიორენტინა	7	4	1	2	14:5	13
4.ინტერი	7	4	1	2	10:5	13
5.სასუოლო	7	4	1	2	15:12	13
6.ლაციო	7	4	0	3	10:9	12
7.ჯენოა	6	4	0	2	11:11	12
8.სამპდორია	7	3	2	2	11:4	11
9.რომა	7	3	2	2	14:10	11
10.პარმა	7	3	1	3	7:8	10
11.მილანი	6	2	3	1	12:9	9
12.ტორინო	7	2	3	2	6:7	9
13.სპალი	7	3	0	4	5:8	9
14.უდინეზე	7	2	2	3	8:8	8
15.ბოლონია	7	2	1	4	4:8	7
16.ატალანტა	7	1	3	3	9:10	6
17.კალიარი	7	1	3	3	4:9	6
18.ემპოლი	7	1	2	4	5:8	5
19.ფროზინონე	7	0	1	6	1:18	1
20.კიევო	7	0	2	5	5:16	-1

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ტრუა-ოსერი 1:0

პორტუგალია. ჰიმეირა დივიზიონი

ავიში-პორტიმორენსე 3:0

ჩესეთი. ჰემეიჩლიგა

რუბინი-კრილია 2:1

საბეიძნეთი. სუპერლიგა

ლამია-ქსანთი 0:0

თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯუ-ანთალია 0:1
ბაშაქშეჰირი-მალათია 1:1

პოლონეთი. ეკსტრაკლასა

იაგელონია-სლასკი 0:4

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-სონდერიისკე 4:1

შვედეთი. ალსვენსკა

ჰამარბი-გიოტებორგი 3:0
ელფსბორგი-ჰაკენი 0:3
იორებრო-ტრელებორგი 4:0

ნორვეგია. ელიტსერია

ტრომსო-ბრანი 2:1

მოამზადა მაისელ ყორყოლიანმა

2018, 3 ოქტომბერი, №234

საბურთალომ აუტსაიდერი ვერ დაამარცხა

საბურთალო-სამტრედია 1:1

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 გონსალვეში (41), 1:1 მამასახლისი (50)

საბურთალო: კუპატაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, ჩაბრაძე (ლაკვეხელიანი 58), რეხვიაშვილი, ტერა, ალთუნაშვილი (გორგიაშვილი 58), გონსალვესი, დიასამიძე, კოხრეიძე (ვოლკოვი 67), დვალიშვილი

სამტრედია: კუპატაძე, გურული, ჩაჩუა, ფატჩი, ჯგერენაია, მამასახლისი, ტუღუში (კოშმანი 46), ერისთავი (კუჭუხიძე 73), კერძეველაძე, ენდელაძე, გორელიშვილი (ბურკაძე 89)

ჩემპიონატის ლიდერმა საბურთალომ ერთერთ აუტსაიდერ სამტრედიას უმასპინძლა და იმის ნაცვლად, რომ ცხრილში 3 ქულა ჩაეწერა, მხოლოდ ფრეს გამორჩა – 1:1.

გასული ტურისგან განსხვავებით, გიორგი ჭიაბრიშვილმა შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა. საბურთალოელებმა სამტრედიელებთან, ტრადიციულად 4-3-3 განლაგებით ითამაშეს. მატჩის დებიუტში თბილისელებს ანგარიშის გახსნა შეეძლოთ, როდესაც ვაგნერი ურტყამდა კარში, მაგრამ ბურთი მცველებს მოხვდათ და განიმუხტა მდგომარეობა. ამის მერე სტუმრებს ორჯერ მიეცათ ხელსაყრელი ეპიზოდი – ჯერ გიორგი ერისთავი გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ გაგი მარგველაშვილმა ვარდნაში წაართვა ბურთი და კუთხურზე მოიგერია. ხოლო შემდეგ, ერთ-ერთი სამტრედიელის თავური დარტყმის მერე, გაშვებული გოლისგან ლაზარე კუპატაძემ იხსნა. ცოტა ხანში უკვე ლადო დვალიშვილს მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ თავით ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.

ტაიმის ბოლოს თბილისელები მაინც დაწინაურდნენ – ვაგნერ გონსალვესმა საჯარიმო დარტყმა ბრწყინვალედ შეასრულა და 1:0.

მეორე ნახევრის დებიუტში სტუმრებმა გაათანაბრეს, გოლი კი ლამაზი გამოდგა: ოლეგ მამასახლისმა შორიდან ძლიერად დაარტყა და ცხრიანში გაგზავნა ბურთი – 1:1.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ, საბურთალომ იერიშებს უმატა, მაგრამ გოლი ვერცა და ვერ გაიტანა. კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ, გეგა დიასამიძე ურტყამდა თავით, თუმცა მეკარე ადგილზე დახვდა ბურთს. ბოლო ხელსაყრელი ეპიზოდი კი ლუკა ლაკვეხელიანს შეექმნა, როდესაც დიასამიძე-ვოლკოვი-დიასამიძის კომბინაციის შემდეგ, ლაკვეხელიანი გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ამ უკანასკნელს გოლკიპერმა აჯობა და სამტრედიელები მარცხისგან იხსნა.

სიონი-ჩიხურა 1:2

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 ბუღრიძე (35), 0:2 კახაბრიშვილი (70), 1:2 ლეჟავა (73)

24-ე წუთზე ხმალაძემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

სიონი: ზარქუა, მინდორაშვილი, თომაშვილი, გურეშიძე, კოშკაძე (მანაგაძე 81), ხმალაძე, კირკიტაძე, მიქაბერიძე (ლეჟავა 71), ისიანი (მახარობლიძე 56), დათუნაიშვილი, გიორბელიძე

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მარკოზაშვილი, მაისაშვილი, გაბედავა, ბუღრიძე (იონანიძე 80), კაკუბავა, ჩიხლაძე (სარდალიშვილი 46), ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი (კახაბრიშვილი 69), დობროვოლსკი

ზედიზედ მე-6 მატჩი ვერ იგებს ბოლნისის სიონი, ხოლო საჩხერის ჩიხურამ დაძლია ცუდი სერია და როგორც იქნა, მოიგო.

ანგარიშის გახსნის საშუალება მასპინძლებს 24-ე წუთზე მიეცათ, თუმცა ლევან ხმალაძემ პენალტიდან ვერ გაიტანა. მაღლევე მეტოქე გამოუყენებელი მომენტის გამო ირაკლი ბუღრიძემ დასაჯდა და სტუმრები წინ გაიყვანა.

მეორე ტაიმში გოლი შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გაიტანეს: მიშიკო სარდალიშვილმა საგოლე პასი კახა კახაბრიშვილს გაუკეთა, რომელიც წამების შესული იყო მოედანზე და მანაც სხვაობა ორამდე გაზარდა.

სიონი თამაშში 3 წუთში დარჩა, როდესაც ასევე შეცვლაზე შესულმა ლაშა ლეჟავამ სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. თუმცა, ეს მაქსიმუმი იყო – ჩიხურა შინ 3 ქულით გაბრუნდა.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	27	19	3	5	48-22	60
2.დინამო	26	17	4	5	50-24	55
3.დილა	26	13	9	4	48-32	48
4.ჩიხურა	27	13	5	9	41-26	44
5.ტორპედო	24	12	5	7	38-20	41
6.ლოკომოტივი	25	9	4	12	32-42	31
7.რუსთავი	26	6	10	10	24-30	28
8.სიონი	27	5	6	16	22-46	21
9.სამტრედია	27	2	9	16	21-49	15
10.კოლხეთი	27	4	7	16	23-56	13

შენიშვნა: კოლხეთი 1913-ს დაკლებული აქვს 6 ქულა.

მოამზადა მახეილ ჟორჟოლიანმა

ქალებმა ნიანგს სცემეს და მეგობარი გადაარჩინეს

ინდოეთის ოდიშას შტატში ნიანგი ქალს თავს დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

სოფელ ბარაკოლიხოლის მკვიდრი 36 წლის მანი დაუდია მდინარეზე კიბორჩხალების დასაჭერად მივიდა. როდესაც მტაცებელმა მას პირი ფეხში სტაცა, საქმეში სხვა იქ მყოფი ქალები ჩაერთნენ.

– ჩვენ რეპტილიას თავს დავესხით და ჯოხები დავუშინეთ, – განაცხადა ერთ-ერთმა ქალმა, – ამის გამო ნიანგმა მას პირი გაუშვა და წყლის სიღრმეში მისი ჩათრევა ვეღარ შეძლო.

დაშავებული საავადმყოფოში ორივე ფეხზე მრავლობითი დაზიანებით გადაიყვანეს. იქ მას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და ჭრილობებზე ნაკერები დაადეს. იმის გამო, რომ ნიანგის თავდასხმა ეროვნული პარკის საზღვრებს გარეთ მოხდა, ქალის მკურნალობის ხარჯებს შტატის სატყეო დეპარტამენტი დაფარავს.

ადგილობრივების თქმით, ყოველ წელს ნიანგების თავდასხმის შედეგად ექვსიდან ათ ადამიანამდე იღუპება ან სახიჩრდება.

ტურისტებმა ნაპოვნი ფული მოხუც ქალბატონს დაუბრუნეს

კრიტზე მყოფმა ბრიტანელმა ტურისტებმა ქუჩაში ნაპოვნი ფული მის მფლობელს დაუბრუნეს და მთელ კუნძულზე გაითქვეს სახელი.

24 წლის ედვარდ გიბსონი და 22 წლის ჯესიკა ფრენკი კრიტზე დასასვენებლად იმყოფებოდნენ, ქალაქში სეირნობის დროს მამაკაცმა ძირს დაგდებულ შეკვრას ფეხი წამოჰკრა. მასში ფული, შვიდი ათასი ევრო აღმოჩნდა.

წყვილმა ნაპოვნი პოლიციაში მიიტანა. როგორც გაირკვა, ის ხანდაზმულმა ქალბატონმა დაკარგა, რომელსაც კუნძულზე მაღაზია აქვს. მას ნავაჭრი თანხა ბანკში მიჰქონდა, როდესაც ძირს დაუვარდა ისე, რომ არც კი შეუმჩნევია.

– პოლიციამ მასთან მიგვიყვანა, ის ტიროდა და გვლოცავდა, – განაცხადა გიბსონმა, – ეს მისი საარსებო ფული იყო.

ამ შემთხვევის შესახებ ადგილობრივ გაზეთში დაიწერა. ბრიტანელი წყვილი ცნობადი სახე გახდა. ტაქსისტები მათ მომსახურებაში ფულს არ ახდევინებდნენ, ხოლო სასტუმრომ, მათ უკეთესი ნომერი შესთავაზა.

ამერიკელს ნამცხვარმა წინასწარმეტყველებით მილიონი მოაგებინა

ჩინური სამზარეულოს სიყვარულმა ამერიკელს ლატარიაში მილიონი დოლარი მოაგებინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

პენსილვანიის შტატის ქალაქ ლონგპონდის მცხოვრები რონი მარტინი ყოველ დღე ნიუ-ჯერსიში სამსახურში მიდიოდა. ის რეგულარულად შედიოდა ავტოგასამართ სადგურზე და იქ ლატარიის ბილეთებს ყიდულობდა. ის ყოველთვის გულდასმით ადევნებდა თვალს იმას, რომ მათი ნომრები დამთხვეოდა იმ რიცხვებს, რომლებიც მან ოდესღაც ჩინურ ნამცხვარში აღმოაჩინა, რომელშიც წინასწარმეტყველება იდება.

მეორე დღეს ის ავტოგასამართ სადგურზე მივიდა ბილეთის შესამოწმებლად, მაგრამ სკანერის ეკრანზე მოგებული თანხის ნაცვლად დაიწერა: „მიმართეთ თანამშრომელს“. მარტინმა დახმარებისთვის გამყიდველს, სახელად ჰარის მიმართა, რომლისთვისაც უკვე ცნობილი იყო მომგებიანი კომბინაცია და ახსოვდა, თუ ყოველთვის რომელ რიცხვებს წერდა მარტინი. მან მაშინვე მიულოცა მას მილიონი დოლარის მოგება.

მარტინმა გამყიდველს არ დაუჯერა და ბილეთის სკანირება სთხოვა. დიდი ხვეწნის შემდეგ მან მაინც დააკმაყოფილა მყიდველის თხოვნა და დაუმტკიცა, რომ მისმა მოგებამ მილიონი დოლარი შეადგინა.

მარტინი და მისი მეუღლე ამ ფულით სახლზე კრედიტის დაფარვას და ანგარიშების ანაზღაურებას, ხოლო დარჩენილი ფულის საშომავლოდ გადადებას აპირებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

3 ოქტომბრისათვის

ვერძი – საყიდლებზე წასასვლელად იჩქარეთ. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. ეძებეთ ახალი სამსახური. **კურო** – ყველა პრობლემა დავიწყებას მიეცემა. ფორტუნა გიღიმით. განსაკუთრებით უმართლებთ შემოქმედებით სფეროში მომუშავე ადამიანებს. **ტყუპები** – მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. ახალი ინფორმაცია სასიამოვნოდ გაგაოცებთ. იზრუნეთ ახლობლებზე. **კირჩხიბი** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **ლომი** – მივლინებაში, სამოგზაუროდ წასვლა სასურველი არ არის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სითბოს ავლენენ. **ქალწული** – სამომავლო გეგმებში ცვლილებებია მოსალოდნელი, რაც გაუთვალისწინებელ შეხვედრებს უკავშირდება. იყავით უფრო ლმობიერი და წინდახედული. **სასწორი** – გაუფრთხილდით ურთიერთობებს, ერიდეთ მკვახე გამონათქვამებს. ნუ გადაიღლებით. **ღრიანკალი** – ინტიმურ სფეროში საინტერესო სიახლეა. ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. **მშვილდოსანი** – იშრომეთ და ისწავლეთ. თქვენი ძალისხმევა დაუფასებელი არ დარჩება. **თხის რქა** – სიყვარული და მოთმინება დღის დევიზია. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე. **ვერცხლი** – დაეხმარეთ სხვებს და მიხვდებით, ეს რამდენად გაგაბედნიერებთ. გემატებათ საკუთარი თავის რწმენა. **თევზები** – აგრესია მოთოკეთ და ნუ ეცდებით, საკუთარი შეხედულებები სხვებს მოახვიოთ.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ

შვეულად: 1. აეროპორტი მილანში; 2. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 3. ქართული კონიაკი; 4. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 5. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 11. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 12. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ზოლი; 13. ღრმა ძილის მდგომარეობა; 14. დიპლომატიური წარმომადგენელი; 15. მიქელანჯელოს ქანდაკება; 17. ებრაელთა უდიდესი რელიგიური დღესასწაული; 19. ლუდის გამონახარში, დანალექი.

თარაზულად: 5. ინდოეთში გავრცელებული ნიანგი; 6. აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; 8. საფრანგეთის კოსმოდრომი სამხრეთ ამერიკაში; 9. გემების სამშენებლო-სარემონტო საწარმო; 10. გაზაფხულის ყვავილი; 11. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 13. იატაკზე დასაჯდომი ბალიში იაპონურ სახლებში; 14. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 16. გეომეტრიული ფიგურა; 18. ეკლესიისგან განდგომილი რელიგიური ჯგუფი; 20. რაიონული ცენტრი სვანეთში; 21. გადასახადებისგან განთავისუფლებული გლეხი ძველად საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბორტი; 2. ბროლა; 3. ჭიათურა; 4. ცემი; 5. რიწა; 6. სინათლე; 9. ამპეოლოგია; 10. ამაშუკელი; 11. მირანგულა; 14. გურჯი; 16. ქაირო; 18. რეტორტა; 20. რეცეპტი; 23. ლოტი; 24. მაზდა; 25. ისტრი; 26. შინი.

თარაზულად: 7. პირომეტრი; 8. შოტლანდია; 12. ხურმა; 13. სიათა; 15. „ოტელო“; 17. რაიკონენი; 19. ეპოსი; 21. ატილა; 22. პლაცი; 27. სტრიპტიზი; 28. სტანდარტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კალაძე; 2. კვაისა; 3. არაბული; 4. ზინდანი; 5. სვანეთი.; 7. ჩამპინო; 11. პროზა; 12. ხენდრო; 13. კალორია; 14. კასკადი; 15. ხერესი; 17. აფექტი; 19. საგა.

თარაზულად: 5. სარაევო; 6. სუფრული; 8. სუმო; 9. სუფსა; 10. ეგზემა; 11. პეჟო; 13. კომუნიკე; 14. კროლი; 16. გაუდი; 18. ეზოპე; 20. დაუგავა; 21. სპეტაკი.

თელავში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი იწყება

ცნობილი ქართველი პიანისტის ელისო ვირსალაძის მიერ დაარსებული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში 3 ოქტომბრიდან დაიწყება.

ფესტივალს მსოფლიოში აღიარებული პიანისტი ბორის ბერეზოვსკი გახსნის. პიანისტის თხოვნით, მისი პირადი მიზეზების გამო, შეიცვალა კონცერტის თარიღი. ბორის ბერეზოვსკის კონცერტი 4 ოქტომბრის ნაცვლად 3 ოქტომბერს გაიმართება. საფორტეპიანო მუსიკის კონცერტზე შესრულდება მეტნერის, სკრიაბინის, შოპენისა და გრიგის ნაწარმოებები.

10 დღის განმავლობაში მსმენელის წინაშე წარდგებიან სხვადასხვა თაობის ბრწყინვალე მუსიკოსები: ფესტივალის დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, გამოჩენილი ქართველი მუსიკოსი ელისო ვირსალაძე, ცნობილი ქართველი პიანისტი ალექსანდრე კორსანტია, 2017 წლის არტურ რუბინშტეინის პიანისტთა კონკურსის II პრემიის ლაურეატი და მაყურებლის სიმპათიის პრიზის მფლობელი დანიელ ჩობანუ, ვუნდერკინდად აღიარებული 14 წლის მევიოლინე მატვეი ბლუმინი და ვიოლონჩელისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები, ახალგაზრდა თაობის გამორჩეული წარმომადგენლები ალექსანდრ რამი და ბრუნო ფილიპი, ასევე საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრი არიელ ცუკერმანის დირიჟორობით, თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“, რომელიც თავისი 10 წლის იუბილესთან დაკავშირებულ კონცერტს გამართავს.

ფესტივალი თელავში 13 ოქტომბრამდე გასტანს. დაგეგმილი 10 კონცერტიდან 6 თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდება, ერთი – ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში, ერთი კი – წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. მუზეუმის ტერიტორიაზე ფესტივალის ორგანიზატორებმა კიდევ ორი კონცერტი დაგეგმეს.

ფესტივალის ფარგლებში, „ალტერ ორკესტრის“ მონაწილეობითა და მირიან ხუხუნაიშვილის დირიჟორობით დაგეგმილია კონცერტი წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლეთა კონცერტს კი თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი უმასპინძლებს. ამ ღონისძიებებზე დასწრება თავისუფალია. სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის წინანდლის პარკის ტერიტორიაზე ლექცია-კონცერტს ჩაატარებს სიმებიანი კვარტეტი „იბერი“.

წელს ფესტივალზე საგანმანათლებლო კომპონენტი მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი. კონცერტების პარალელურად, როგორც ყოველთვის, სამუსიკო სკოლების მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის მასტერკლასებს ჩაატარებენ მუსიკოსები: პიანისტები ელისო ვირსალაძე და ხათუნა კოკოჩაშვილი, მევიოლინე დენიზ ტაჰბერერი. პირველად ფესტივალზე მასტერკლასებს ვოკალის სპეციალობაში სებასტიან შვარცი ჩაატარებს, ხოლო მასტერკლასს დასარტყამი ინსტრუმენტებისთვის – დავით ჯაფარიძე. ღია გაკვეთილები გაიმართება თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში და მათზე დასწრება თავისუფალია.

ელისო ვირსალაძის მიერ XX საუკუნის 80-იან წლებში დაარსებული ფესტივალი 2010 წელს განახლდა და მას შემდეგ ყოველწლიურად იმართება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. ტრადიციულად, ფესტივალი თელავში სხვადასხვა თაობის მსოფლიო რანგის მუსიკოსებს მასპინძლობს.

თბილისში რეზო ლაღიძის ბიუსტი გაიხსნება

ცნობილი ქართველი კომპოზიტორის რეზო ლაღიძის ბიუსტი თბილისში თბილისობის დღესასწაულზე გაიხსნება.

7 ოქტომბერს კონკასთან მდებარე სკვერში კომპოზიტორის ბიუსტი საზეიმოდ გაიხსნება და „ქართული ხმების“ კონცერტი გაიმართება.

თბილისში რეზო ლაღიძის ძეგლის დადგმის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება კარგა ხნის წინ დაიწყო. რიგითი მოქალაქეები დედაქალაქის ხელისუფლებისგან არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორისთვის საკადრისი პატივის მიგებასა და მისი სახელის უკვდავსაყოფად თბილისში ძეგლის გახსნას მოითხოვდნენ.

დედაქალაქის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, დაეკმაყოფილებინა მოქალაქეების მოთხოვნა და წლევანდელი თბილისობის ფარგლებში რეზო ლაღიძის ძეგლის გახსნის გადაწყვეტილება მიიღო.

რკონის ხიდი ინგრევა

რკონი მოგზაურობის მოყვარულთათვის ერთ-ერთი მიმზიდველი ადგილია. თეძამის ხეობაში უამრავი ადამიანი მიდის ექსკურსიაზე, თუმცა ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ხიდს ორ ადგილას ბზარი აქვს და მასზე ბევრი ხალხის გადასვლა ან ხიდზე ხტუნვა სასტიკად აკრძალულია.

ინფორმაცია ამის შესახებ ნიკო ჯავახიშვილმა გაავრცელა:

– მეგობრებო, კლუბის ლიდერებო და ხელმძღვანელებო, ძალიან გთხოვთ, რკონში ექსკურსიისას ბევრი ხალხი ამ საცოდავ ხიდზე ნუ გაჩერდებით, ბზარი აქვს ორ ადგილას და წყალსაც კარგა გვარიანად ატარებს. ხოდა, ერთხელაც ჩაინგრევა და დატრიალდება უბედურება, ყველას ჯვარი გეწეროთ. მაგის გარდა კიდევ ხიდი და მისი ისტორიაა ცოდო, მაგ ხეობაში 18-დან ეგ ერთიღაა შემორჩენილი. გავუფრთხილდეთ, გთხოვთ და გაითვალისწინეთ, ლიდერებო და ორგანიზატორებო.

გთხოვთ, ჩემი კარგო ხალხო. კიდევ: ზედ ნუ ხტუნაობთ ბევრნი, ჯგუფურად ანუ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მოკლულმა დათვმა მონადირეზე შური იძია

აშშ-ში მონადირე რეანიმაციაში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც მას მის მიერვე მოკლული დათვი ზევიდან დაეცა.

ინციდენტი ალიასკას შტატში ტბა კარტერის მახლობლად მოხდა, რომელიც სოფელ მუსპასთან მდებარეობს. 28 წლის უილიამ მაკორმიკი და 19 წლის ზაკერი ტენისონი დათვზე სანადიროდ წავიდნენ. მათ ცხოველი კლდეზე შენიშნეს და ესროლეს. მოკლული დათვი კლდიდან გადმოვარდა და ქვებთან ერთად მაკორმიკს დაეცა.

საბედნიეროდ ტენისონი არ დაშავებულა და სწორედ მან გამოიძახა მაშველები თანამგზავრული ტელეფონით. უიღბლო მონადირის გადასარჩენად ადგილზე მახლობლად მდებარე სამხედრო ნაწილის მოსამსახურეები, მეხანძრეები და ექიმები მივიდნენ. მაკორმიკი საავადმყოფოში შვეულმფრენით გადაიყვანეს. ის ამ დრომდე რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

ღორმა მეღორე ბაზრობაზე მოკლა

ჩინეთის პროვინცია გიუჩჟოუს ქალაქ ლიუპანშუიში ღორმა მოკლა მეღორე, რომელმაც ის და მისი თანამოძმეები ბაზარში გადარეკა.

მამაკაცი ლიუპანშუიში მეზობელი პროვინცია იუნინანიდან ჩავიდა და გასაყიდად 15 ღორი ჩაიყვანა. მეორე დღეს მისი ცხედარი მისმა ბიძაშვილმა აღმოაჩინა, რომელიც იქ ფერმერთან ერთად იმყოფებოდა. გარდაცვლილი ფეხდასისხლიანებული მამაკაცის გვამი საღორის გვერდით ეგდო.

მისი დაღუპვის მიზეზი სხვისი 250 კილოგრამიანი ღორი გახდა, რომელიც ფერმერს თავს დაესხა და ფეხზე არტერია გადაუღრღნა. სისხლით მოთხვრილი დინგით ცხოველი მეზობლად მდებარე საღორეში აღმოაჩინეს, რომლის კარიც ღია იყო დატოვებული. ადგილობრივ პოლიციას ჯერ არ დაუდგენია, თუ ვის ეკუთვნის აღნიშნული საღორე.

მოხუცმა ქალმა მძარცველი კბილების პროთეზით შეაშინა

ამერიკის ფლორიდას შტატის ქალაქ ტაიტუსვილში ხანდაზმულმა ქალბატონმა ჩასასმელი კბილების პროთეზი უცნობის, რომელიც მის ეზოში დაუკითხავად იყო შესული, თავიდან მოსაშორებლად გამოიყენა. პენელოპა პეტერსენმა დაახლოებით ღამის ორ საათზე ფანჯარაში გაიხედა, რათა თავისი კატა სახლში შემოეშვა.

– ჟალუზები გავხსენი და ვთქვი: ეს რა ჯანდაბაა? ეს ჩემი კატა არ არის, – გაიხსენა მომხდარის შესახებ ქალბატონმა. მან კატის ნაცვლად კართან შიშველი მამაკაცი შენიშნა. პეტერსენმა მისი შეშინება გადაწყვიტა. მან ჩასასმელი კბილები პირიდან გამოიღო და დაიყვირა: „ბებია უკბილოა!“

შიშველი მამაკაცი 28 წლის აქსელ რივერა აღმოჩნდა. ის იმავე დღეს სასამართლოს წინაშე წარდგა. მას ბრალად ედება სხვის ტერიტორიაზე უკანონოდ შეღწევა და საკუთარი სასქესო ორგანოების დემონსტრირება. პროკურორი მიიჩნევს, რომ რივერამ დანაშაული სიმთვრალეში ჩაიდინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს, მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს!“

გაუსაძლისი გულისტკივილით ვიზიარებთ დედის, მეუღლისა და შვილების მწუხარებას სულით სპეტაკის, ულამაზესი ახალგაზრდული ოჯახის თავკაცის, სიკეთით სავსე, მეგობრული, მაღალი სტანდარტის მატარებელი კოლორიტული პიროვნების, ფიზიკური სრულყოფილებისა და სულიერი სამყაროს ნაზავი ჰუმანოიდი კაცური კაცის, ბატონი

ვახტანგ (პუში) ვახტანგის ძე სექანიას

ქრისტეს ასაკში ტრაგიკულ გარდაცვალებას.

ბატონი ვახტანგი (პუში) უმძიმესი დანაკლისია არა მარტო მისი ოჯახისთვის, მისი გვარისა და ნათესავებისათვის, არამედ მთლიანად ძირძველი სამურზაყანოს, აფხაზეთისა და საქართველოსათვის.

მისი ულამაზესი ცხოვრების წესით ჩვენ უდიდესი გულისტკივილი დაგვიტოვა და გულწრფელი ცრემლის ნაკადი გაიყოლა თან.

„ეეჰ, მოკვდავთა ენას არ ძალუძს,
უკვდავთა გრძნობის გამოთქმა!“
ნათელში იყოს მისი უწმინდესი, უკვდავი სული, ამინ!

მისი და მისი მეგობრების სახელით: ვოვა გოცირიძე, რაჟდენ ქარდავა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

ნათელა სამუშია: თმა საშინლად მცვიოდა. გამოვიყენე ლამარა თოდუას თმის სავლებები. ერთ თვეში კარგი შედეგი მომცა. მკურნალობას აუცილებლად გავაგრძელებ.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 ოქტომბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6145

ევრო — 3.0341

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.409

100 რუსული რუბლი — 3.985

ამინდის პროგნოზი 3 ოქტომბრისთვის

ალისონი: „რომას დატოვება რთული იყო“

ლივერპულის ახალმა მეკარე ალისონმა განაცხადა, რომ მისთვის რთული იყო რომას დატოვება, რადგან რომში თავს ძალიან კარგად გრძნობდა.

ალისონის თქმით, მან ლივერპულში გადასვლა იმიტომ გადაწყვიტა, რომ მისი კარიერისთვის ასე იქნებოდა უკეთესი.

– რომში მე და ჩემი მეულლე რომში ძალიან ბედნიერები ვიყავით და ჩვენი შვილიც იქ დაიბადა. როდესაც რომადან წამოსვლა გადავწყვიტე, ეს ჩემთვის ძალიან რთული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ლივერპულში თამაში ჩემთვის კარიერული წინსვლაა, – განაცხადა ალისონმა.

ზიდანი, შესაძლოა, იუვენტუსში დაბრუნდეს

ზინედინ ზიდანი, შესაძლოა, იუვენტუსში დაბრუნდეს, მაგრამ არა მწვრთნელის რანგში. იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზიდანი იუვენტუსის დირექტორატში ერთ-ერთ პოზიციას დაიკავებს.

ჯერჯერობით თვითონ ზიდანს ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია და ბოლო პერიოდში ფრანგი ლეგენდა მედიას ნაკლებად ეკონტაქტება.

სხვა ინფორმაციის თანახმად, ზიდანი მანჩესტერ იუნაიტედთან აწარმოებს მოლაპარაკებებს და მალე ის ამ გუნდის მწვრთნელი გახდება.

შეგახსენებთ, რომ რეალთან ერთად ზიზუმ სამჯერ ზედიზედ მოიგო ჩემპიონთა ლიგა.

ბარსელონა ინტერის მცველით დაინტერესდა

ბარსელონა ინტერის მცველ მილან შკრინიარით დაინტერესდა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ბარსელონის ცენტრალურმა მცველმა სამუელ უმტიტიმ ტრავმა მიიღო და ბარსელონას მინიმუმ ერთი თვით ვერ დაეხმარება.

გარდა ამისა, ბოლო პერიოდში ბარსელონა საკმაოდ ბევრ გოლს უშვებს და გუნდის დაცვა აშკარად არ არის მოწოდების სიმაღლეზე.

შკრინიარი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ მცველად ითვლება და ინტერი მას ადვილად არ დათმობს. შკრინიარის სატრანსფერო ფასი, შესაძლოა, 80 მილიონი ევროც კი იყოს.

გვარდიოლამ მბაპეს ტრანსფერზე ისაუბრა

ხოსეპ გვარდიოლამ კილიან მბაპეს ტრანსფერზე ისაუბრა და თქვა, რომ მანჩესტერ სიტი მბაპეს გადაბირებას არ აპირებს.

გვარდიოლას თქმით, მბაპე შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ მის გუნდს არ სჭირდება ახალი ფორვარდი, რადგან სიტიში ამ პოზიციაზე ბევრი ძლიერი მოთამაშეა.



გარდა ამისა, გვარდიოლა დარწმუნებულია, რომ პსჟ მბაპეს არ დათმობს, რადგან პარიზელებმა ამ ფეხბურთელში 180 მილიონი ევრო გადაიხადეს.

მბაპეს ყიდვა რეალსაც სურდა, მაგრამ თვითონ ფეხბურთელმა პსჟ ამჯობინა.

ტოტენჰემს ბარსელონასთან მატჩის წინ საკადრო პრობლემები აქვს

ლონდონის ტოტენჰემს ოთხშაბათს მძიმე შეხვედრა ელის ბარსელონასთან და ლონდონელების მდგომარეობა მას შემდეგ უფრო გართულდა, რაც მათმა რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო.

ტოტენჰემისთვის განსაკუთრებით დიდი დანაკლისი იქნება კრისტიან ერიკსენი და დელე ალი, რომლებიც, დიდი ალბათობით, ბარსელონის წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ახალგაზრდას ეკითხებიან:

– ვინ არიან შენი მშობლები?

– დედა და მამა, და რა არის რო?

•••

შვილი ჭიაყელა მამას ეკითხება:

– მამიკო, კარგია ვაშლში ცხოვრება?

– ჰო, შვილო.

– და ჩვენ ნეხვში რატომ ვცხოვრობთ?

– იცი რა, შვილო, არსებობს ასეთი სიტყვა – სამშობლო.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– სვამ?

– ეს თუ შეკითხვაა, მაშინ არა, მაგრამ თუ შემოთავაზება, მაშინ კი.

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ქალიშვილს რომ ათხოვებენ, ყველა დედა ტირის, შენ კი სულ არ დარდობ...

– დაე იმან იტიროს და იდარდოს, ვის ოჯახშიც შედის.

•••

ქალი მამაკაცს ეუბნება:

– შენ ნამდვილი სექსმანქანა ხარ.

– მართლა?

– ჰო, მხოლოდ ერთი კვირაა ერთმანეთს ვხვდებით და უკვე ფეხმძიმობის მესამე თვეში ვარ!

•••

დიდი ხნის ცოლ-ქმარი დილით სასადილო მაგიდასთან სხედან. ამ დროს ცოლი ქმარს ეკითხება:

– გივი, ძვირფასო, თუ შეიძლება მითხარი, ისევ გიყვარვარ?

– რა ჯანდაბაა, არ შეიძლება, რომ ერთი დილა მაინც დაიწყო სკანდალის გარეშე?

•••

სოფლის გზაზე მანქანამ მამალი გაიტანა. მძღოლმა მკვდარი მამალი აიღო, მის პატრონ მოხუცებულ ქალთან მივიდა და ეუბნება:

– მინდა თქვენი მამალი შეგიცვალოთ.

– რა პრობლემაა, ქათმები საქათმეში არიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფშიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.



TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號：HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფშიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

„მუდმივად ახალგაზრდა“ 50 წლის ჩინელმა საკუთარი საიდუმლო გაამხილა

საკუთარი ახალგაზრდული შეხედულებით სახელგანთქმულმა ჩინელმა ქალბატონმა ლიუ ელინმა განაცხადა, რომ მუდმივად ახალგაზრდული შეხედულების შენარჩუნებაში მას სიცივეში ვარჯიში ეხმარება.

ელინმა აღიარა, რომ უკვე 30 წელია აქტიურადაა სპორტით დაკავებული. ყველაზე მეტად მას წყალსატევებში ცურვა უყვარს. ის ამით ზამთარშიც არის დაკავებული.

ელინს 40 კილომეტრი სიგანის მალაკის სრუტეც აქვს გადაცურული, პარაშუტით 4,5 კილომეტრის სიმაღლიდან გადმოხტა და 30 გრადუს ყინვაში იოგათი იყო დაკავებული. ბოლო დროს პენსიაზე გასული ყოფილი ბიბლიოთეკარი, ამჟამად კი პოპულარული ბლოგერი ფილიპინების პლაჟებზე ფრიდაივინგს ეუფლება.

– მე ყოველთვის მიყვარდა ზღვა და შემიძლია აკვალანგით ცურვა, მაგრამ ახლა საკუთარ თავს ახალი მიზანი დავუსახე. მინდა წყლის სიღრმეში რაც შეიძლება ღრმად, ყოველგვარი მოწყობილობის გარეშე ჩავყვინთო, – განაცხადა ჩინელმა.

ელინის ბიზნეს-პარტნიორი ტეგან ში მიიჩნევს, რომ ის ჩინეთში ქალის სილამაზის სტანდარტებს ცვლის და სტერეოტიპებს ამსხვრევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი; 2. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში; 3. მამლების ჩხუბი; 4. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 5. იაპონური ჭიდაობა; 6. სხეულთა წონასწორობის შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 9. ორთქლის ან აირის სითხედ გადაქცევა; 10. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 11. ქონების პერიოდული აღწერა; 14. უნგრული ღვინო; 16. ეგვიპტის დედაქალაქი; 18. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 20. იატაკის ხის საფარი; 23. ჩახურებული ფქვილი; 24. სოხუმის ძველი სახელწოდება; 25. სიყვარულის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 26. გნოლის, ხოხბის, კაკბის ბარტყი.

თარაზულად: 7. კუჭქვეშა ჯირკვალი; 8. დიდი ძეგლი; 12. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 13. კუთხე საქართველოში; 15. ვაშლის ღვინო; 17. განმარტებითი ხასიათის შენიშვნა; 19. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 21. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 22. კათოლიკე მღვდელი საფრანგეთსა და ბელგიაში; 27. უმაღლესი მწვერვალი სამხრეთ ამერიკაში; 28. რაიმე დანიშნულების საგანთა სრული შემადგენლობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა